პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1936 წ. თებერვალი
პარიზი

№ 59

1936 — FEVRIER
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

15 წელი

ამ თვის 24 სრულდება 15 წელი მას შემდეგ რაც თფილისი დავტოვეთ და რამაც გადასწყვიტა საქართველოს ბედი. ქვეყანას დაეპატრონა მოსკოვის ურდოები და მათი ნასუფრალის მნატვრელნი ნაძირალი ქართველები.

ქართველ ერს დაეკარგა თავისი საკუთარი სახე, თავისი ნებისყოფა, თავისი შემოქმედება და თავისთავის პატრონობა. მთელ მის მორალურ და ნივთიერ საუნჯეს დაეპატრონა გადამთიელი, ააგო მის ძვლებზე უცხო უღელი, შეაბა მასში მთელი მშრომელი და მოაზრე ხალხი, წაართვეს ყველას ყველაფერი, სიტყვა, აზრი და ნაშრომ-ნამუშიერი, ცეცხლით და მახვილით დაასისხლიანა მთელი ერი. და ეს საშინელი მკვლელობა თავისუფალი ქვეყნის მოხდა ქართველთა წინამძღოლობით, მათი მოწოდებით და გადაწყვეტილებით. აი როგორ მიმართა ერთმა ამათგანმა ამ შემოსეულ ბარბაროსებს:

«ჩვენ საქართველოში მოწიწებით შევცქეროდით თქვენ ბრძოლას და როცა თქვენი დროშები გამოჩნდენ აქ, ჩვენი გული გაიღო და ხელები გამოგიშვირეთ თქვენ. ჩვენ ბედნიერი ვართ რომ აქ, საქართველოს ცენტრში, შეგვიძლია ჩავეკრათ თქვენ ძლევამოსილ გულს...»

საქართველოს ყოლია უღირსი, დაცემული შვილები, მაგრამ არ ყოლია არასოდეს ასეთი უსირცხვილონი, ასეთი ცინიკები. ერის დავარდნა მათი აღდგომაა, ერის უბედურობა მათი ბედნიერებაა. და ეს ხალხის ორგულები, თავისი ბატონობის და კეთილდღეობის მაძიებელნი 15 წელია ნავარდობენ ერის ზურგზე და მას სტეხენ, მუსრავენ, ცარცვავენ მოსკოვის ხიშტით, მოსკოვის ბრძანებით.

ხალხი მაგარია, ის მაგრათ ასვია დედამიწაზე და მასზე დაგროვილ უბედურობას მამაცურათ უმკლავდება. 15 წელია ის ებრძვის მასზე დატეხილ საშინელებას; ის მას არ ურიგდება, ვერ შეურიგდება, სიცოცხლე სიკვდილზე არ გაიცვლება. გაქრა მასში სამუდამოთ ძველი «გიჟი ოცნება», გაქრა რუსეთზე ყველა წინანდელი წარმოდგენა, უხვათ მასში დათესილი საუკუნეთა განმავლობაში. ამ ბურუსიდან მისი გამოყვანა, თავისთავის ცნობა, მტერის მოყვარისაგან გარჩევა, შინ და გარეთ თვალხილულათ ყოფნა—ხდება ახლა, ამ თუთხმეტი წლის გაჭირვებაში. ხალხს უნახავს გაჭირვება, მრავალნაირი შემოსევა და აკლება, მაგრამ არასოდეს არ უნახავს მსგავსი ბოლშევიკური აკლებისა, გაუთავებელი, უსაზღვრო, უანგარიშო. რუსეთი ამოვარდა ხალხის გულიდან.

15 წელი, წელი ტანჯვის და გამოფხიზლების, ფიზიკურათ დამარცხების და სულიერათ აღდგომის, ბრძოლის და თავის დადების.

ქართველი ერის ეს გამძლეობა, ეს შეურიგებლობა, მისი მუდამ იმედიანობა, მისი ღრმა რწმენა რომ მისთვისაც გამოიდარებს—არის ის სალი, გაუტეხელი კლდე, რომელსაც ასკდება ბოროტი მტრის ვერაგობა. ეს ციხე-სიმაგრე აუღებელია, ხალხის სული დაუშრეტელია. ის გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს ერთი პირობით—ერთათ დგომით, ერთი დროშით, ერთ გზაზე თავის მოყრით. ციხე შიგნიდან აიღება, შინაური ორგული მტერზე უფრო მტერია. მთლიანობა შიგნით, გამძლეობა გარეთ—ჩვენი გამარჯვების გზა და ხიდია...

◆

თავდადებულნი

ამ ნომერში თავდება ანანია სალუქვაძის წერილი, რომელიც ამ სამი წლის წინეთ იყო საზღვარგარეთ გამოგზავნილი. ავტორი აგვიწერს მის გაჭირვებულ ცხოვრებას, ავათმყოფობას, ტანჯვა წვალებას, მის სულიერ ტრაღიკულ განცდებს ლივადიაში მისი ყოფნის დროს.

ანანია არის ნამდვილი ტიპი და განსახიერება იმ ჩვენი ძველი რევოლიუციონერების და საზოგადო მოღვაწეებისა, რომელნიც საქართველოს «მესამე დასელების» სახით მოევლინენ. ამ უკანასკნელთა შრომით და გავლენით იყო, რომ ჩვენ ქვეყანას ბრძოლაში გამოწრთვნილი და გაკაჟებული რამდენიმე თაობა აღეზარდა. უბრალო ხალხის შვილნი, მისი წრიდან გამოსულნი, ისინი მუდამ ამ მშრომელ ხალხთან იყვნენ და მას არ ცილდებოდენ, აკვირდებოდენ და სწავლობდენ მის გასაჭირს და საჭიროებას, ეძებდენ გზებს და საშუალებებს უკეთესი ცხოვრების დასამყარებლათ.

«მესამე დასელები» არასოდეს პირად და კერძო კეთილდღეობაზე არ ზრუნავდენ. სპეტაკები, ასკეტები, ისინი ყოველთვის საზოგადო საქმეს ემსახურებოდენ, მას წირავდენ თავს, მისთვის მუშაობდენ და ცხოვრობდენ. მათი ფსიქოლოგია გათქვეფილი იყო საზოგადოებრივ და კოლექტიურ ფსიქოლოგიაში. მათთვის საზოგადოება იყო ყველაფერი, პიროვნება კი მხოლოთ ნაწილი ამ დიდი ორგანიზმისა, მისი მოსამსახურე და მისდამი დამორჩილებული. და ჩვენი ხალხის, ჩვენი საზოგადოების დასახმარებლათ, საკეთილდღეოთ და წინ წასაწევათ მათ მიერ აუარებელი მსხვერპლი იქნა გაღებული.

«მესამე დასელები» არ ერიდებოდენ გაჭირვებას, ავათმყოფობას, სიცივეს, სიმშილს, ციხეს, ციმბირს და სხვა შორეულ ადგილებში გადასახლებას; შორდებოდენ დედ-მამას, ცოლშვილს, ნაცნობ-მეგობრებს, მაგრამ ყველაფერ ამას იტანდენ ამაყათ, გაბედულათ, გმირულათ და მტკიცე ნებისყოფით. იმათ კარგათ იცოდენ, რომ მათი ტანჯვა იყო პირობა და დასაწყისი სხვების ტანჯვის შემსუბუქების და მდგომარეობის გაუმჯობესობის. ამიტომაც იყო, რომ ქართველ ხალხმა მესამე დასელებში მისი საუკეთესო მეგობრები ნახა, მათ გაყვა და ნდობა გამოუცხადა.

მესამე დასილები საქართველოს ყველა კუთხეებში ხალხთან მივიდენ, მას დაუახლოვდენ და დაუკავშირდენ, ყველგან მისი სულისკვეთება და სურვილი გაიგეს, მას კეთილშობილი საკაცობრიო იდეალი და თავისუფლებისადმი სიყვარული ჩაუნერგეს; ყველა ეს კუთხეები ერთნაირი მიმართულებით გამსჭვალეს და ერთი სავალი გზით წარმართეს, ქართველი ერი პოლიტიკურათ გააერთიანეს, ახალ საქართველოს საფუძველი ჩაუყარეს.

ანანია სალუქვაძე თავის წერილში თფილი გრძნობით მოგვითხრობს მისი უახლოეს მეგობრის მასზე დიდ ზრუნვას და თავდადებას. ის გაკვირვებულია, რომ ეს ადამიანი დაუკავშირდა მას ტანჯვა-თრევაში, შიმშილ-გაჭირვებაში, რომ ის შეპყრობილი იყო რაღაც იდეალური გატაცებით და ამ გატაცებაში ხორციელი არაფერიაო. მაგრამ ანანიას უფროს ამხანაგების, მის და მის შემდეგ მომყოლ თაობებმა მთელ საქართველოში ხომ უდიდესი თავდადების და იდეალიზმის სულისკვეთება შექმნეს. ამ მებრძოლთა ფანატიკურ გატაცებას საზღვარი არა ქონდა და არც დღეს აქვს. მუდამ სხვებზე მზრუნავნი, ისინი თავიანთ ირგვლივ სიყვარულს, თავდადების და მოვალეობის მოხდის გრძნობებს სთესვენ და ზრდიან.

ავათმყოფი ანანია მადლიერი და კმაყოფილია მისი მეგობრის მასზე ზრუნვით და მოვლით. მხოლოთ მის ავათმყოფობისაგან განკურნებას ხელს ვერ უწყობს ნაზი, მაგრამ მისთვის უცხო-ქვეყნის—ლივადიის ბუნება. იქ მას ყველაფერი შავათ ეჩვენება: «ეგ მთის მწვანე სამეფო, ეგ მთიური ბალნარ ხევნარები, ეგ ზღვისა და მზის პატარა კუნძული». ბუნება სავსე სურნელოვანი მაცოცხლებელ ნივთიერებით მასზე ვერ ახდენს გავლენას, მის სხეულს ვერ ეხმარება, ვერ აჯანსაღებს, რადგანაც ამ უცხო ბუნებას არ შეეძლო ანანიასათვის დაებრუნებია ის, რაც მან დაჰკარგა... და ის იგონებს იმ შავ ღამეს, როცა მის ქვეყანას, პატარა საქართველოს ჩრდილოეთიდან «შავ-ყორანთა შავი ბრბოები» «ჩინგის ხანის ბნელი ზრახვებით და ცივი მახვილით» შემოესია. სამკვდრო-სასიცოცხლოთ გამართულ ბრძოლაში მოესმის მას დევნილი დედის ღრიალი და მწარე ფიქრებით აღგზნებულ-გატაცებული ის იმედიანათ წინ იყურება.

და ანანიას რამდენი ამხანაგები და მეგობრები დღეს საქართველოს ციხეებში, თუ შორეულ და ცივ ქვეყნებში იმყოფებიან! მშობლიურ კერას მოწყვეტილნი, მათ საყვარელ ხალხისაგან დაშორებულნი, ისინი მათთვის აუტანელ და ცუდ პირობებში იტანჯებიან.

მტერს ტერორით და ძალით უნდა თავიდან მოიშოროს და დათურგნოს ისინი, ვინც ათეულ წლების განმავლობაში თავგამოდებით და აუარებელ მსხვერპლის გაღებით ებრძოდა რუსეთის მეფის იმპერიალიზმს. მას უნდა მათში ჩაკლას სამართლიანობის და თავისუფლებისადმი სიყვარული, აღმოფხვრას მათში ყოველგვარი ნებისყოფა და ბრძოლის უნარი. მაგრამ ბრძოლებში გაწრთვნილი და გამოჩალხული მებრძოლნი მტერს ასე ადვილათ არ ნებდებიან. წითელი იმპერიალიზმი ძველ რუსეთის აბსოლუტიზმს რით სჯობს, რომ მის წინაშე თავი მოიხარონ? მან ხომ ყველა დროის ტირანიებს ბარბაროსობაში და მხეცობაში წააჯობა! მან ხომ ერებს თავისუფლება მოსტაცა და ისინი დაჩაგრა და დაიმონავა!

ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ რომელიმე ერს თავისუფლება ეგემოს, მერმედ კი მას მასზე უარი ეთქვას და ძალმომრეობას შერიგებოდეს. ციხე, ციმბირი, ტანჯვა-წვალების ყოველგან გაბატონება ასეთ მალამოთ არ გამოდგება.

შეიძლება კერძო პირები ბრძოლაში მოტყდენ, მოიღალონ და დაეცენ, თუგინდ მტერსაც შეურიგდენ, გუშინდელ მათ თანამებრძოლთ და მეგობრებს ზურგი შეაქციონ, თავიანთ კეთილდღეობაზე იზრუნონ და მათ ყოფილ ამხანაგებთან შესახვედრი პირი აღარ ექნეთ. მაგრამ ეს მდგომარეობას ვერ შესცვლის. ერი, მთელი საზოგადოება მაინც თავისი ისტორიული გზით ივლის და ყოველგვარ დაბრკოლებებს და გასაჭირს გადალახავს.

ქართველ ხალხმა შეუდრეკელი ბრძოლით გადააგდო მეფის რეჟიმის უღელი. მან თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ ის მას მოსტაცეს. მას ხელახლათ მოევლინა უცხო ქვეყნის ბატონობა კიდევ უფრო მწვავე და სასტიკი ფორმით, დაწყებულია ხელახალი ბრძოლა, ბრძოლა ულმობელი და შეუპოვარი.

მტერი ცდილობს ჩვენ ხალხს თვალი აუხვიოს და ის რაღაც პალიატივებით დააკმაყოფილოს. ამა თუ იმ ქარხნის აშენებით, ქუჩების გაყვანით და მათი გამწვანებით ის ვერავის მოატყუებს. ბოლშევიკების ლაპარაკი სოციალიზმის განხორციელებაზე თვალმაქცობაა და მეტი არაფერი. იქ, სადაც არ არის პოლიტიკურ-ეკონომიური თავისუფლება, უაზრობა და შეუძლებელია სოციალური სამართლიანობის დამყარება. უკანასკნელის გასამარჯვებლათ და გასამტკიცებლათ პირველ ყოვლისა აუცილებელია საზოგადოების ყოველმხრივი თავისუფლება.

ქართველი ხალხი იბრძვის, მისი მიზანია პოლიტიკური და სოციალური განთავისუფლება. ამ ბრძოლას წარსულში მეთაურობდა ჩვენი პარტია—საქ. სოც.-დემოკრატია და მას ის დღესაც სათავეში უდგია. ბრძოლის ველი არასოდეს არ ყოფილა იავარდით მოფენილი და ადვილათ სავლელი. ბრძოლას თან ახლავს მრავალი მსხვერპლი, ტანჯვა, წვალება და გასაჭირი. ჩვენმა გმირებმა ეს კარგათ იცოდენ და ეხლაც იციან, ამიტომაც არის, რომ ისინი ბრძოლას არ ერიდებიან. მართალია, ისინი ამაყურათ დიდ წამებას განიცდიან, საუბედუროთ, ხშირათ ამ წუთისოფელსაც სამუდამოთ ეთხოვებიან, მაგრამ მტერს არასოდეს არ ემორჩილებიან. მათ ეს დუხჭირი აწმყო არ აკმაყოფილებს და უფრო კარგი მომავლისათვის იღწვიან. რა ვუყოთ, რომ მომავლისაკენ სავალი გზები ტანჯვა-წამებით არის მოკირწყლული. ჩვენი მებრძოლნი და თავდადებულნი უბედურათ სთვლიან თავიანთ თავს, თუ ბრძოლის მომავალ გზაზე მათ წვალების გაზიარება არ მოუწევთ. კვნესაში მათ ესახებათ «ლამაზი ტანჯვა და საიდუმლო გატაცება სიცოცხლისადმი».

ცხოვრების მიზანი თვით ცხოვრება და მისი გარდაქმნა-გაუმჯობესობაა. ჩვენი ერის ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესებისათვის იბრძოდა და დღესაც იბრძვის საქართ. სოციალდემოკრატია. მან ამ ბრძოლებში აუარებელი მსხვერპლი გაიღო, მის რიგებს ბევრნი გამოაკლდენ, ბევრნი ტყვეობაში არიან, მაგრამ ბევრნი კიდევ მტრის წინააღმდეგ საქმიანობას განაგრძობენ.

და აი საქართველოს დაპყრობის 15 წლის თავზე ყველა ჩვენ გმირებს, ჩვენგან სამუდამოთ განშორებულთ დიდი სიყვარულით და სიამაყით მოვიგონებთ, ცოცხლებს და ბრძოლაში ჩაბმულთ კი კარგათ ყოფნას და საბოლაოთ მალე გამარჯვებას ვუსურვებთ.

კ. გვარჯალაძე.

◆

ასე იყო, ასე იქნება

15 წელი სრულდება, რაც ჩვენი ქვეყანა დაპყრობილია. დამპყრობლები ეხლა ხმაურობას ასტეხენ, ზეიმს გამართავენ. ისინი დელეგაციებს აფრენენ მოსკოვში და კრემლის მესვეურთ ათასობით ხელმოწერილ პატაკს გადასცემენ. საბჭოთა ხელისუფლებას, «ბრძენ» და «საყვარელ» ბელადს მიესალმებიან და მადლობას ეტყვიან, რომ მან საქართველო სამუდამოთ გაანთავისუფლა და გააბედნიერა, რომ მისი წყალობით იქ დამყარდა სოციალიზმი და «საქართველო გადაიქცა ყველაზე მოწინავე ინდუსტრიულ, ყველაზე მოწინავე მსხვილ სოციალისტურ მიწათ მოქმედების და ყველაზე მოწინავე კულტურის ქვეყნათ მსოფლიოში».

კრემლის ბატონებიც მათ ქვეშევრდომთა ამ ქება-დიდებას შეიფერებენ და როგორც ღირსეულათ დამსახურებულ რამეს მიიღებენ. ისინი მედიდურათ განაცხადებენ, რომ მათ ეჭვი არ შედის «თავისუფალი შრომის საქართველოს რესპუბლიკის» ბედნიერებაში და მის ეროვნულ აყვავებაში. დიქტატორებიც მათდამი ქება-დიდების საპასუხოთ და ასანაზღაურებლათ საქართველოს კომუნისტების დელეგატებს ამა თუ იმ ორდენებით დაასაჩუქრებენ. ასე იყო ამას წინეთ აზერბაიჯანის და სომხეთის დაპყრობის 15 წლის თავზე, უეჭველია, ასე იქნება საქართველოს დამონავების ამ წლის ზეიმზე.

მაგრამ ზეიმი ხშირათ, და განსაკუთრებით კი ბოლშევიკებისათვის, ხომ ხელოვნური ამბავია. ასეთი რამეებით უნდით მათ ჩაკლან ხალხში ყოველივე უკმაყოფილება და შექნან არსებული მდგომარეობით სრული კმაყოფილება.

ბოლშევიკების თქმით საქართველო მათი წყალობით გახდა თავისუფალი და ბედნიერი. სინამდვილეში კი ჩვენ ერს წართმეული აქვს ყოველგვარი თავისუფლება და მისი ეროვნული მეობის გამოხატვის რაიმე შესაძლებლობა. ის დღის სავსებით დამოკიდებულია სხვისგან. მან უნდა იფიქროს, სწეროს და იმოქმედოს არა ისე, როგორც ეს მას სურს, არამედ როგორც სხვა ფიქრობს, სწერს და მოქმედებს.

თუ დავაკვირდებით, მაგალითად, დღევანდელ ქართულ პრესას, ჩვენ დავინახავთ, რომ მისი არსებობის რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში ჩვენ არასოდეს არ გვქონია პრესა ასეთნაირათ თავის სახეობას და თავისებურობას მოკლებული, როგორიც ის დღეს არის. დღევანდელი ქართული პრესა რუსული გაზეთების ფილიალია, ის მხოლოდ «პრავდა» და «იზვესტია»-დან გადმობეჭდილ ცნობებით და წერილებით ცხოვრობს და იკვებება. წინეთ ქართულ პრესას, ცუდი იყო ის, თუ კარგი, ყოველთვის ქონდა თავისი საკუთარი აზრი და შეხედულება. ჩვენი პრესა სარკე იყო ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა. დღეს კი მთავარ ქართულ გაზეთის ყველა მოწინავეებში რუსულიდან არის ამოღებულ-გადმოთარგმნილი. მისი ქართული ენაც ყოვლათ უვარგისი და დამახინჯებულია. ქართველ კომუნისტებს ეშინიათ თავის საკუთარ წერილში რამე ისეთი არ წამოცდეთ, რისთვისაც იქნებიან დასჯილნი და განდევნილნი. შიში მეფობს ყოველგან და მას ჩაუკლავს ყოველივე ორიგინალური და ეროვნული. და ასეთივე სურათია ჩვენი ხალხის ცხოვრების ყოველ დარგში და მოქმედებაში. ქართველი ერი დღეს დიდ გასაჭირს განიცდის ეროვნულათ, პოლიტიკურათ და ეკონომიურათ.

საქართველოს ფლობს, ბატონობს და აზროვნებს მოსკოვი.

მაგრამ საბედნიეროთ ერთი ერი მეორის ბატონობას არასოდეს არ ურიგდება. არ შეიძლება ერის დამორჩილება არც სასტიკი ზომებით და არც ლიბერალური რეფორმებით. მთელი მეცხრამეტე საუკუნე და მეოცეს დასაწყისი სავსეა ასეთი მაგალითებით.

მრავალი საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთი სტანჯავდა და აწვალებდა საბერძნეთის და ბალკანეთის ქვეყნების სხვა ერებს, მაგრამ არა ერთი და ორი ამბოხების და დამარცხების შემდეგ ამ უკანასკნელებმა მაინც გაიმარჯვეს და მათი დამოუკიდებლობა და თავისუფლება აღადგინეს.

სხვა ერის მიერ დამორჩილებას და ბატონობას არ შეურიგდა არც ბელგია, არც იტალია, არც უნგრეთი, არც ჩეხია, არც პოლონეთი, არც ნორვეგია, არც დიდი რუსეთის, თუ რომელიმე მეორე იმპერიალისტური ქვეყნის ფარგლებში მომწყვდეული წვრილი ერები. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საშუალებებით ეს ჩაგრულნი თავისუფლდებოდენ და სხვების ბატონობას თავს აღწევდენ.

ჩვენი ერის ისტორია ბევრ რამეებში დიდათ წააგავს ორი ქვეყნის—პოლონეთის და ირლანდიის—ისტორიას.

რუსეთს დიდი ხნის განმავლობაში ყავდა დამორჩილებული და დაპყრობილი პოლონეთი. ეს უკანასკნელიც არა ერთხელ აჯანყებულა მისი ბატონის წინააღმდეგ. 1863 წლის პოლონეთის აჯანყება, რომელშიდაც ერის თითქმის ყველა ფენებმა მიიღო აქტიური მონაწილეობა სისხლში იქნა ჩახრჩობილი. გამარჯვებული რუსის მთავრობა და მისი მსახური გენერალი მურავიოვი არ დაკმაყოფილდა მით, რომ აუარებელი პოლონელი პატრიოტი გაჟლიტა და ციმბირის ცივ კუთხეებში გადაასახლა. მან მოინდომა პოლონეთის ერში თავისუფლებისადმი სიყვარულის ჩაკვლა და მისი ბრძოლის უნარის მოსპობა. ამ მიზნით მან საშინელ რეპრესიებს და დევნას მიმართა. მაგრამ ამ დევნამ და რეპრესიებმა არ გასჭრა და, როცა შესაფერისი და ხელსაყრელი დრო დადგა, პოლონეთი, როგორც ერთი კაცი ფეხზე ადგა, და ყველა მის მტრებს—რუსეთს, თუ სხვებს—ხელიდან გაუსხლტდა და თავი გაინთავისუფლა.

შვიდ ნახევარი საუკუნის გასწრივ გრძელდებოდა აგრეთვე შეურიგებელი ბრძოლა იმპერიალისტურ ქვეყნებთა შორის უძლიერეს ინგლისს და პატარა ირლანდიას შორის. პირველმა ყოველნაირ ზომას მიმართა მეორეს დასამორჩილებლათ. 1847-48 წლებში ინგლისის მთავრობა იმასაც კი შეეცადა, რომ ესარგებლა ირლანდიაში იმ დროს არსებულ სიმშილობით და, ბრიტანეთის იმპერიიდან სურსათის შეტანის აკრძალვით, ირლანდიელი ერი ფიზიკურათ დაესაჯა და დაეტანჯა. ინგლისელების სისასტიკეს და დევნას ირლანდიელები ყოველთვის გასაკვირი გამძლეობით და სიმამაცით ხვდებოდენ. ირლანდიაში ბევრჯელ ქონია ადგილი აჯანყებებს. მან მრავალი დამარცხებებიც განიცადა. მაგრამ დაბოლოს ყველა ამ ბრძოლებიდან ის გამარჯვებული გამოვიდა.

ზოგ კოლონიებში და დომინიონებში ინგლისი სხვანაირ პოლიტიკასაც აწარმოებდა და მის მიერ დამორჩილებული ქვეყნების გულის მოსაგებათ და მოსამადლიერებლათ რეფორმების და დათმობების გზას ადგებოდა. კანადას, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას და სამხრეთ აფრიკას მან შინაური მართველობის სრული თავისუფლებაც კი მისცა. მაგრამ ეს ქვეყნები ამით არ კმაყოფილდებოდენ და ბრძოლას აგრძელებდენ. ბრძოლის და შეურიგებლობის შედეგი იყო ის, რომ ინგლისის დომინიონებმა მოიპოვეს როგორც შინაური, ისე საგარეო საქმეების წარმოების სრული უფლებები.

ქართველ ერს მთელ თავის ისტორიაში, ცოტა გამონაკლისით; დევნის, ჩაგვრის და წვალების მეტი არა უნახავს რა. მას დევნიდენ, ჩაგრავდენ ხან რომაელები, ხან სპარსელები, ხან ბიზანტიელები, ხან არაბები, ხან მონგოლები, ხან ოსმალები, გასულ საუკუნეში კი მასზე ბატონობდა და დღესაც ბატონობს შავი, თუ წითელი რუსეთი. ქართველებიც მსგავსათ პოლონელების, ირლანდიელების და ყველა

სხვა დაპყრობილ ერებისა, არასოდეს მათ დამპყრობელთ და ბატონთ არ შერიგებია და მათ წინაშე ქედი არ მოუხრიათ. მოიგონეთ ქართველი ერის მტრის წინააღმდეგ უამრავი ბრძოლები და ამბოხებები და ყველა ამ ქარტეხილებში მისი განსაცვიფრებელი მხნეობა და გამძლეობა. ასეთ შეურიგებლობას და გამძლეობას იჩენს ის დღესაც და ბრძოლას თავს არ ანებებს.

მტერი ვერ შესძლებს ქართველი ერის მოშლა-მოტეხას ვერც მკაცრი და ბარბაროსული ზომებით და ვერც თავზე ხელის მოსმით და მოფერებით.

ყველა ერს თავისუფლება სჭირია ისე, როგორც ადამიანს ჰაერი. ამ მხრივ ის ყოველთვის უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

ასე ხდებოდა ეს წარსულში, ასე იქნება მომავალშიდაც.

პ. ბ.

ოსმალეთში

ოსმალეთიდან გამოძევებული ქართველები გვწერენ საბერძნეთიდან:

«როგორც უწყით ადრინდელ ცნობებიდან, ამ 7 თუ 8 თვის წინეთ ერთა ლიგის სტამბოლის ბიუროს მიერ დაძახებული იქნა რუსის მონარქისტები თუ ვრანგელის ყოფილი ოფიცრები, რიცხვით 160 კაცი, რომელთაც გამოეცხადათ, რომ თანახმათ თურქეთის მთავრობის განკარგულებისა მათ უნდა დასტოვონ სახელმწიფოს საზღვრები. ამათ რიცხვში გახლდით ჩვენც ქართველები, რიცხვით 8 კაცი. საბჭოების სადესპანოს მოთხოვნით შეტანილი. ხოლო ერთი თვის შემდეგ კიდევ, დამატებით, შეტანილ იქმნენ 3 კაცი—ვ. ქავთარაძე, ისრ. რიყინაშვილი და ი. ელიგულაშვილი.

ცხადია, ჩვენ არ შეგვეძლო დავრჩენოდით გულგრილათ ასეთ დაუჯერებელ და აღმაშფოთებელ აქტს, რისთვისაც ჩვენ მიერ გადადგმულ იქნა შესაფერისი ნაბიჯები საქმის ნამდვილი ვითარების გამოსარკვევათ. მით უმეტეს, რომ ხმები იყო თითქოს ეს იყო აქტი, რომელსაც ჰქონდა მიზნათ არა იძულებითი გადასახლება, არამედ ერთგვარი გავლენის მოხდენა იმ პირებზე, რომელთაც ვიზების შოვნისა თუ მატერიალური მხრის მიხედვით საშვალება ქონდათ ადვილათ დაეტოვებიათ თურქეთის საზღვრები. მართლაც ეს ხმები თითქოს გამართლდა მას შემდეგ, რა რომ თურქეთის ოფიციალურ დაწესებულებებმა თუ პირებმა არა ერთხელ დაგვიდასტურეს, რომ არავითარ იძულებით გადასახლებას არ ექნება ადგილი იმ პირთა მიმართ, რომლებიც მჭიდროთ არიან დაკავშირებული თავისი საქმიაობისა თუ ყოფაქცევის მიხედვით თურქეთთან. რომ ისინი სრულებით არ არიან დაინტერესებული გადაყარონ ეს ხალხი, რომელთაც 15 წელი უცხოვრიათ აქ, უსაბუთოთ, მხოლოდ იმიტომ რომ ამას მოითხოვს საბჭოების ხელისუფლება (ეს არა ერთხელ იქმნა ოფიციალურ პირების მიერ განცხადებული), მით უმეტეს ქართველები, მათი უშუალო ისტორიული მეზობლები. და თუ მოხდება მსგავსი რამე, მხოლოდ ისეთ პირთა მიმართ, რომლებიც არავითარ საქმით არ არიან დაკავშირებული თურქეთთან და ამავე დროს საეჭვონიც არიან თავისი მოქმედებით.

შემდეგ ანგორის მთავრობამ მისცა ბრძანება სტამბოლის ადმინისტრაციას გამოეყო ჩვენი, ქართველების საკითხი საერთო საქმიდან. ჩვენ მიწვეული ვიქენით ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ და მოგვცეს წინადადება დაუყონებლივ შეგვეტანა თხოვნები ქვეშევრდომათ მიღების შესახებ, რისთვისაც შეგვატანიეს კიდეც საქვეშევრდომო და საღერბო გადასახადები, რაიც 200 ფრანკამდის დაგვიჯდა თითოეულს. დაგვარწმუნეს, რომ ჩვენ, ქართველებს განსაკუთრებულ ყურადღებით გვექცევა მთავრობა და მშვიდათ მოვუცადოთ საბოლოო განკარგულებას ჩვენი ქვეშევრდომათ მიღების შესახებ. ამის შემდეგ, ცხადია, ჩვენც დამშვიდებული შევუდექით ჩვენ ყოველდღიურ საქმეს, მით უმეტეს, რომ მომხდარი გამოძიება ყველა ჩვენ მიმართ ჩვენი კეთილი საიმედოობის შესახებ საუკეთესო ცნობებით წარედგინა უზენაეს მთავრობას. არც ერთ ჩვენგანს არ გვიფიქრია საქმის მშვიდობიან ლიკვიდაციისა და საჭირო თადარიგის დაჭერის შესახებ, რომ ერთი თვის შემდეგ ყველა ამისა უეცრად დაძახებულ ვიქენით იმავე ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ და მოგვცეს წინადადება დაუყონებლივ მოგვეწერა ხელი გამზადებულ ქაღალდზე, რომ ჩვენ ათი დღის განმავლობაში დღიდან ხელის მოწერისა დავსტოვებთ თურქეთის საზღვარს. არავითარ ჩვენმა თხოვნა-მუდარამ თუ პროტესტმა არ გასჭრა იმის შესახებ, რომ ჩვენ არამც და არამც არ შეგვიძლია მოვახდინოთ 10 დღის განმავლობაში ლიკვიდაცია იმ საქმეებისა, რომელიც 15 წლის მშვიდობიანი ცხოვრების განმავლობაში გვიწარმოებია, რომ ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ჩვენი საკუთარი საქმეები და კერა შეგვიქნია აქ, რომ ჩვენ გვაქვს მრავალგვარი ვალდებულებანი, როგორც სხვების მიმართ, ისე სხვებს ჩვენ მიმართ, რომ ეს ჩვენი დანგრევა და დაღუპვაა, უდანაშაულო აწიოკება და განიავებაა 15 წლის ჩვენი ნასისხლარის და ნაოფლარის. ვიმეორებთ არაფერმა არ გასჭრა. სიტყვა ერთი იყო და ასრულებაც ერთი: თუ დაუყონებლივ არ მოგვიწერიათ ხელი, დატუსაღებულათ გაცხადებთ ყველასო.

ცხადია, 10 დღის განმავლობაში ჩვენ ვერ მოვახერხეთ ჩვენი საქმეების ლიკვიდაცია და სრულიად დავიღუპეთ. მით უმეტეს ისინი, ვისაც ფუნდამენტალური საქმე გვქონდა შექმნილი. მაგალითად. დავ. მაჭავარიანს—უდიდესი ფერმა სტამბოლში, 70 სული ძროხა და 30 სული ხარი და ცხენი და ამდენივე თუ მეტი ღორი და ფრინველები. ვასო გორდელაძეს—წიგნის სავაჭრო სახლი უნივერსიტეტის წინ ბაიზითზე დიდი კლიენტურით, რომელსაც დამსახურებული ჰქონდა პატივისცემა პროფესორებისა და სტუდენტების მხრივ. ვალ. მგალობლიშვილს—ახლად დაწყებული საქმე—სავაჭრო სახლი რძისა და კარაქისა თუ სხვა რძის ნაყოფი სანოვაგის (crémerie) დიდი კარგი ღირებულების კლიენტურით. სერგო ინასარიძეს—ფერმა ძროხებითა და ფრინველებით და სხვა. იძულებული გავხდით ოხრის ფასათ, სულ არაფრათ დაგვეყარა იქ ყველაფერი ეს და ათი დღის განმავლობაში გადმოვცვენილიყავით ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ დროში ბარბაროსების შემოსევის დროს.

დღეს დღეობით აქა ვართ კუნძულ სირიაზე საბერძნეთში: ვიკტორ ქავთარაძე ცოლითა და ორი მცირე წლოვანი ვაჟით, ვიკტორ ბოკერია, ნიკოლ. მასხარაშვილი და ვალ. მგალობლიშვილი, ხოლო დანარჩენები: დ. მაჭავარიანი, ვ. გორდელაძე ცოლითა და სამი შვილით, სერგო ინასარიძე ცოლითა და ორი შვილით, ისრ. რიყინაშვილი ცოლითა და შვილით და ი. ელიგულაშვილი ცოლითა და შვილით უნდა გადმოსახლდენ შემდეგი გემით, ე. ი. ორი კვირის განმავლობაში დღიდან ჩვენი წამოსვლისა, რადგან ამ უკანასკნელთ საჭირო დოკუმენტები არ ჰქონდათ მოწესრიგებული.

აი ეს გვიყვეს 15 წლის სამაგალითო ცხოვრების შემდეგ, რომელიც გავატარეთ პატიოსან შრომასა და ლოიალურ განწყობილებაში თურქის ხალხის მიმართ მხოლოდ იმიტომ რომ ბოლშევიკების კაპრიზი შეესრულებიათ.

მართალია, ჩვენ თანხები არც ერთს არ გაგვაჩნდა, მაგრამ თუ კი ვინმეს 25 ლირაზე მეტი აღმოაჩნდა ყველა იქ დაატოვებიეს და არ გამოატანეს, აგრეთვე ოქროს ნივთიც თუ კი ვინმეს ზედმეტი გააჩნდა.

ყველა გადმოყვანილ ვიქენით ერთა ლიგის ხარჯზე საბერძნეთის კუნძულ სირიაზე ექვსი თვის ვადით, რის შემდეგ, თანახმად საბერძნეთის მთავრობასთან დადებულ პირობისა, ერთა ლიგა ვალდებულია დაგვანაწილოს სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც კი შესძლებს ვიზების შოვნას. ცხადია, აქ არჩევაზე ლაპარაკი თუ ვინ სად წავა ზედმეტია. მიუხედავათ იმისა, რომ როგორც ბერძნის ხალხი, აგრეთვე აქ მისი ადმინისტრაცია მეტად თანაგრძნობით და ლოიალურათ შეგვხვდა, ჩვენი ცხოვრების პირობები აქ მეტად მძიმეა, რადგან მოკლებული ვართ საშვალებას თავისუფალ მოძრაობისა და შრომისა. ადვილათ წარმოიდგენთ შეუჩვეველ პირობებში, უცხო ხალხსა და ქვეყანაში, უენოთ და უსახსროთ თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება ახალ ემიგრანტობაში, ისედაც ამდენი ხნის გაწამებულ ცხოვრების შემდეგ. მით უმეტეს, რომ ერთა ლიგის წარმომადგენლობა გვაძლევს დღეში სარჩოთ სულზე 40 ბერძნულ დრახმას, რაიც უდრის 5 ფრანკს და ცხოვრების პირობები კი თითქმის ისეთივეა, როგორიც სტამბოლში, მიუხედავათ იმისა, რომ თურქების ვალიუტა ბევრათ მაღლა სდგას ბერძნულისაზე.»

საბერძნეთი.
კუნძული სირია.

რედაქციისაგან. ასე აგვიწერენ მწარე სინამდვილეს სტამბოლიდან გაძევებული ჩვენი თანამემამულენი. აქ საყურადღებოა ერთი გარემოება—ანგორის მთავრობის განკარგულება ქართველების სასარგებლოთ და სტამბოლის ადგილობრივი მართველობის განკარგულება მათ წინააღმდეგ. ეს ცხადათ ყოფს არა ერთხელ ნაამბობს და მოტანილ ფაქტს: სტამბოლში მთავარი გამკარგულებელია არა თურქის ადმინისტრაცია, არამედ მოსკოვის აგენტურა, რომლის ბრძანებას ასრულებენ თურქის მოხელენიო. ე. ი. აქ შექმნილია ანუ აღდგენილია აბდულ ჰამიდის დროის მდგომარეობა, როცა რუსეთის მეფის პოლიცია ბრძანებლობდა სტამბოლის ქუჩაზე.

საყურადღებოა ისიც რომ გადასახლებულთ მოეპყრენ წმინდა ჩეკისტურათ, როგორც ეპყრობიან საბჭოთა იმპერიაში ყველა დასასჯელ მოქალაქეს: ატოვებიებენ საკუთრებას და ქონებას, უცარიელებენ ჯიბეებს ფულის და ნივთისაგან—ერთი სიტყვით აშკარათ ცარცვავენ და ამ «გაკულაკების» შემდეგ აძევებენ. მოსკოვის ჩეკა ბატონობს სტამბოლშიაც ჩეკისტური მეთოდით. რისთვის? მხოლოდ იმისთვის რომ გაძევებულნი ქართველებია, არავითარი სხვა დანაშაული მათ არ მიუძღვით, არც პოლიტიკური, არც სისხლის სამართლის. ისინი არავითარ პოლიტიკურ მუშაობას არ აწარმოებდნენ, დავსძენთ ჩვენ. მაშასადამე იდევნება ქართველი როგორც ქართველი. მოსკოვის ჯალათებს რომ ქართველი სძულს როგორც ქართველი, ეს ცნობილია. მაგრამ ამ ფერხულში თურქების ჩაბმა—ეს ახალი და მოულოდნელია.

ჩვენ უფლება გვაქვს ვიცოდეთ როგორ უყურებს ამ გარემოებას ანგორის მთავრობა. უნდა გამოიძიოს სტამბოლის ადმინისტრაციის მოქმედება, მისი უცხო სახელმწიფოს აგენტურათ გადაქცევა და ჩეკისტური მეთოდებით ქართველებთან ანგარიშების გასწორება. ამას მოითხოვს ახალი ოსმალეთის პრესტიჟი უცხოეთში და სამეზობლო მოსაზრება.

ამხ. ანანია სალუქვაძის წერილი

(დასასრული)

დასასრულ შენ იტყვი, ამდენი სისულელე მოიწერა და მიმდინარე მომენტზე კი არაფერიო. აქ თავრების ყოფილ უდაბნოში, სადაც ერთხელ ტოლსტოი-მილიუტინების მისტიციური სექტა არჩევდა რელიგიურ-მეტაფიზიკურ პრობლემებს და ეძებდა ღმერთს, ისე როგორც სიკვდილის წინ ნიუნტონი, კეპლერი, გაიუსი და სხვები, ფიქრებიც ზედმეტია პოლიტიკაზე. მეორე მხრით ამ საქმისაგან თავისუფალი ვარ ისე, როგორც გლასტონმა «უფალი ღმერთი გაანთავისუფლა ამ ქვეყნის მზრუნველობისაგან». დიდიხანია ვეღარც წიგნებს ვკითხულობ. ავადმყოფობა წერის ნებასაც აღარ მაძლევს. ჩემი სუსტი [illegible] უკვე გატყდა, უკვე გაშრა და დამუნჯდა. ასეთი მდგომარეობა ცუდია. რომ ჰენგელსის რჩევას თავი დავანებოთ, დოსტოევსკი ამ «ქვეყნად ისევ მოსულს» საიდუმლოდ ეკითხებოდა: «აქ ყოფნის საიდუმლოება იმაში კი არ არის რომ იყავი, არამედ იმაშია, რატომ იყავი, რა ნაყოფი გამოიღე, რა შექმენი, რა დატოვე?» ამაზე პასუხი მას ეკუთვნის, ვინც ამ სოფელში მოწოდებული იყო დიდი საქმისათვის. მე კი ერთი საწყალი ბიჭი ვიყავი, ცხოვრებისაგან მწირად, ობლად მიტოვებული და ამ სოფელში დავფუსფუსებდი როგორც შემოდგომის ფერმკრთალი ბუზი. არავითარი უფლება არ მქონდა ეს სწორი შეხედულება გამებერა და მეთქვა დერჟავინსავით მე მარტო «მატლი და მონა» კი არა ვარ, არამედ «მეფეც და ღმერთიც». მე ვიყავი ჩვენი ეპოქის მანძილზე რევოლიუციის უბრალო შავი მუშა. ამ სახით მოვედი, ასე მივდივარ... ჩემთვის არავის არ შეეძლო მოეთხოვა ის, რის გაკეთებაც არ შემეძლო. ასეთი მოთხოვნილება ნიშნავდა დავიწყებას მისცემოდა ნეკრასოვის მიერ ასხული «ობოლი გალია», დანტეს «საიდუმლო საფლავი», მიცკევიჩის «უცხო ფიქრები», ბარათაშვილის «თავგანწირული სულისკვეთება»... იყო დრო და რაღაც გატაცებით მივექანებოდი ცხოვრების ცოცხალ ნაკადულებისაკენ... მაგრამ ხან ორგანიული მოვლენების ზეგავლენით, ხან ობიექტიური კანონების ძალდატანებით, ხან ხელოვნურად ადამიანის გარშემო იქმნებიან ისეთი პირობები, რომ ის უდროო დროს დნება, უდროო დროს წყდება ცოცხალ ბუნებას და დროებით, ან სამარადისოდ ეძლევა უმოძრაობას...

მიუხედავად ამ მძიმე მდგომარეობისა, ჯერ ცოტა რამე კიდევ მესმის ამ ბედკრული წუთისოფლის. ამ ბოლო ხანებში კი ჩემს ყურადღებას იქცევს იქ—შორეულ აღმოსავლეთში იაპონელების ექსპანსია; აქ სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქცია; მანდ—დასავლეთში—გიტლერის ამბები.

ისტორიულად იაპონელების ამოძრავება ცოტა მოძველო ამბავია. აქ ახალია ის რომ მათ ამ ჟამად დარჩენილ ამერიკელებს პანღური ამოკრეს (ცოტა რბილად ევროპიელებსაც) და მიზნად დაისახეს შორეულ აღმოსავლეთში პოლიტიკურ-ეკონომიური ჰეგემონიის ხელში ჩაგდება. ამ მოვლენამ კაცობრიობა დააყენა საეჭვო მდგომარეობის ნიშნის ქვეშ. იაპონიამ ისარგებლა მსოფლიოს ეკონომიური კრიზისებით, ევროპის შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობის გართულებით და შეუდგა თავისი «ისტორიული ამოცანის» განხორციელებას. ის უკვე შეიჭრა სხვის ოჯახში და იქიდან მიერეკება სხვებს. მან აირჩია «არსებულ ომისთვის» ბრძოლაში ხმლის, ხიშტის პოლიტიკა. ისტორიული მოვლენების განვითარების ღრმა ფაქტორებმა დააჩქარეს მისი გამოსვლა... პატარა ტექტონიურ-ვულკანურ კუნძულებზე მოქცეული ახალი ძალა, ახალი სიცოცხლის ნაკადებით, ახალი ტეხნიკით, ახალი იმპერიალისტური განზრახვებით, ახალ ეროვნულ განდიდების სახით—მოემართება ჩინეთ-მონღოლისაკენ უკან დაუხეველად. მანჯურიის დაპყრობა იყო ომის გამოცხადება ყველას წინააღმდეგ; თავდასხმა შანხაიზე კი იაპონური იმპერიალიზმის რაინდული თავდასხმა მსოფლიო იმპერიალიზმზე. მან უკვე ხელში ჩაიგდო შორეულ აღმოსავლეთის საუკეთესო სტრატეგიული ადგილები და, უწინარეს ყოვლისა, წინ გადაელობა როგორც წყნარ ოკეანეზე, ისე ჩინეთში შეერთებულ შტატების მსვლელობას. დღეს უმთავრესად ეს ორი ძალა დაეტაკა ერთმანეთს მათ შორის მიმდინარეობს ბრძოლა, მათ შორის დაისვა პრინც ჰამლეტის უბედური საკითხი: «სიცოცხლე თუ სიკვდილი!..» ქვეყნის დანარჩენი ნაწილი კი რუევაშია, არც კი იცის, რა ქნას, ვის ამოუდგეს გვერდში, რა გზას დაადგეს; თავის თავი გამოიტიროს, თუ სხვა დაიტიროს. მისთვის მიუღებელია იაპონური მილიტარიზმის გაბატონება შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ მას ამავე დროს ეშინია ამერიკელების

ცოტა რამ საბჭოთა ლიტერატურაზე

(15 წლის თავზე)

ცარიზმის დროს ქართული მწერლობის უდიდესი ნაწილი ეროვნულ-სოციალურ ჰანგებით აჟღერებული ქმნიდა ბრძოლის დინამიზმს, მხატვრულ ფორმებში ჩამოსხმული ცხოვრების რეალური სინამდვილე საზოგადოების წინაშე გამოჰქონდა, მის სინდისს ამჟღავნებდა, უსამართლობის წინააღმდეგ აზვირთებდა საზოგადოების აზრთა აღშფოთებას; სიმართლისთვის ბრძოლაში ის იყო ძლიერი და მკვეთრი, მომხიბლავი და მიმზიდველი. ამ გზით მიდიოდენ რუხაძე-ქუჩიშვილები, დღეს, რომ ქართველი ერის ისტორიულ ტრადიზმის, მის წამება ტანჯვის ვითარებაში შემოსეულ მტრის კალთაში თავი მოუკალათებიათ. ტაბიძე, ოდესღაც ბარათაშვილის მემკვიდრეთ დასახული ისე დაეცა, დაქვეითდა, რომ სტალინის დამკვრელ ბრიგადების ხოტბის მეტი აღარაფერი ახსოვს: «დამკვრელებს ვაშა! სალამი, ქართველი თუ ალჟირელი მტრისთვის მწარე წალამი, გუგუნებს კოვკავშირელი». ქუჩიშვილი ხომ აღფრთოვანებულია საქართველოში უცხო ჯარების შემოსვლით: «წითელი მხედრებით შემოსალტული დგას საქართველო კლდესავით მყარი, საბჭოთა დროშა ცად აღმართული კიაშკობს, როგორც დილის ცისკარი». ათავებს ასე: «დიდია ჩვენი მიღწევა, ბავშვმაც კი იცის რა გავაგრძელო, ასე ურყევათ გასწევს თფილისი და საქართველო». საქართველო არასდროს შერიგებია უცხო მონობას, მისი საუკუნოებრივი ბრძოლის ისტორია და მისი დღევანდელი ურყევი შეურიგებლობა მოწმობს, რომ ის არ გაყობა ქუჩიშვილის ღვინით გარეტიანებულ მუზის მიერ ნაჩვენებ გზას, არამედ, არ შეწყვეტს შეუპოვარ ბრძოლას სანამ ქუჩიშვილის სათაყვანებელი რუსეთის მხედარი მის საზღვრებს არ დასტოვებს. ამ «სასახელო პლეადამ» დიქტატურის ქება დიდებაში დაჰკარგა არა მარტო მორალური სიფაქიზე, არამედ ყოველგვარი მხატვრულ-ფორმალური რაობა და ესთეტიური მოცულობა. ახლად წარმოშობილ ე. წ. «პროლეტარულ-მწერლობა» ამათივე შემწეობით დაეპატრონა და გაბატონდა ქართულ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის ასპარეზზე. ათეული წლის მანძილზე ამ უკანასკნელ წრეში გამართული თეორიული ხასიათის კამათი კი მოკლებულია ყოველგვარ ინტერესს. დავა მის შესახებ, თუ როგორი და რომელი გზით მიმდინარეობდეს მხატვრული შემოქმედების გზები, თვით მიზნობრიობა თუ უტილიტარული დანიშნულება, ანუ ძველი სახელწოდებით რომ ვიხმაროთ, ხელოვნება-ხელოვნებისათვის, თუ ხელოვნება-ხალხისთვის,—ძველია და არა ახალი. უკანასკნელს ჩვენ პირველს უპირისპირებდით ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის წინააღმდეგ იდეალისტურ მსოფლ-მხედველობის დასარღვევათ, რეალურ შემეცნების გასაშუქებლათ; უცხო ხიშტის საშვალებით წარმოშობილმა «პროლეტ. მწერლობამ» შეაბრუნა ეს დებულებანი და მესამე წამოაყენა: ხელოვნება დიქტატურისთვის, ჩაგვრისა და მონობის სამსახურისთვის» ხალხის წინააღმდეგ. ეს გალაშქრება მართლდება მარქსისტულ-მხატვრულ შემოქმედების ფილოსოფიური დებულებებით. ხელოვნება, როგორც ლიტერატურა ცხადია ცხოვრების ანარეკლია, ისინი ასახავენ საზოგადოებრივ ურთიერთობის რეალურ მიმდინარეობას. ამ მხრივ თუ მართლა მსოფლიო ლიტერატურის განვითარების უმთავრეს ხაზებს თვალს გადავავლებთ, დაკვირვებით ჩავიხედავთ მის წარსულ ვითარებაში ცხადათ დავინახავთ სხვადასხვა ეპოქის გამომხატველ ლიტერატურულ ხელოვნებას. რომანტიული ხანა, სასულიერო მწერლობა, ხალხური ზეპირსიტყვაობა, ქალაქური პოეზია, გმირული ეპოქა და სხ. თვითეულ ამ მიმართულებას უსათუოდ აზის მისივე ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალ-ეკონომიური ვითარების ბეჭედი. საბჭოთა საზოგადოების სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების სარკეში ოდნავ ჩახედვა აშკარათ ყოფს «პროლ. მწერ.»-ის მიერ ზემოხსენებულ დებულებათა სრულ გაყალბებას, ფარისევლური მჭერმეტყველობით მათ დაპატრონებას და საბჭოთა ცხოვრების ნამდვილი სახის დამალვის ცდებს. «საბჭოთა სამოთხეს»-ში ათეულ წლების მანძილზე წარმოიშვა, გაძლიერდა და განებივრდა ე. წ. პროლეტარული არისტოკრატია, მუშათა ფენა პრივილეგიებით დატვირთული, რომლისთვის კარები ყველგან ღიაა, განცხრომილ და უზრუნველყოფილ ცხოვრების შენარჩუნების და გაგრძელების მიზნით ის გააფთრებულ ბრძოლას ეწევა. მთელი საბჭოთა კავშირი, კომუნისტურმა პარტიამ, რომლის წევრთა რიცხვი ორ მილიონს ძლივს აღწევს, შესცვალა თავად-აზნაურული წოდება. სახალხო კომისარი ეს იგივე ძველი ცარიზმის მინისტრია, ცეკას წევრი თავადების და პარტკომის კიდევ აზნაურთა წარმომადგენელნი. «ჩეკა» ძველი ჟანდარმერია, მხოლოდ სათავეში სდგას წითელი თვითმპყრობელი დიქტატორი—ხელმწიფე. მთელი ეს ხროვა მუქთა-ხორებისა თავზე აზის დაბალ, შრომით წელში გაწყვეტილ ხალხს. მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი სოციალურ-კატეგორიათა, მოკლებულია არა მარტო პოლიტიკურ უფლებებს, არამედ ნივთიერ გაუმჯობესებისთვის საკუთარ ზრუნვის საშუალებებს. ეს თვალხილული სურათი ჩვენი «კალმოსნებისთვის» არ არსებობს. მათ ევალებათ ბედშავ მდგომარეობის ყვავილებით შემოსვა, სინამდვილეში არსებულზე თვალის დახუჭვა და ხელისუფლების პოლიტიკური ხაზის გამართლების და გამაგრების მიზნით საბჭოთა მოქალაქის კმაყოფილი და აღფრთოვანებული საზოგადოების წინაშე წარმოდგენა, აშკარა ტყუილის მხატვრულად გამოქანდაკება მიჩნეულია «პროლეტარულ რეალიზმათ», ვინცამ რეალურ გზას გადაუხვევს, მარჯვნივ და მარცხნივ გადახრებს გააკეთებს ის სასტიკათ იკიცხება და იდევნება. საკმარია გადაიკითხოთ ოფიციალურ ლიტერატურის სათავეში წამოსკუპებულ ბუაჩიძის რისხვა და მუქარა. განადგურებით რომ ემუქრება ვინც ოდნავ დამოუკიდებელ აზროვნების გზას შერჩენია და მით სურთ ქართულ კულტურას ჯოჯოხეთურ პირობებშიც ცოტაოდენი სამსახური მაინც გაუწიოს. მხატვრულ ლიტერატურის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ-საზოგადოებრივ ასპარეზზე, წინასწარ მიზან-შეწონილობით გაზომილი და მოფიქრებული მხატვრული შემოქმედება ვერ გაშლის ფრთებს, ტყვეთ ჩავარდნილი ერთ ადგილზე დაიწყებს ფართხალს, ვერც დადებით კვალს დააჩენს ერის სულიერ კულტურის განვითარების გზაზე. იქ სადაც უცხო ხელისუფლების კარნახით, მისი ნებასურვილებით შემოზღუდულია მწერლობის ასპარეზი, იქ მისი ეროვნული მეობის სიფაქიზე გამორიცხულია; იქ სადაც სახელმწიფო ძალა საკუთარ ბატონობის მიზნებისთვის მუდმივ გავლენას ახდენს ადამიანის მხატვრულ შემოქმედების რაობაზე, უკანასკნელის წინსვლა განწირულია; პირველი თანდათანობით ბორკავს თავისუფალ აზროვნების გასაქანს, ვიწრო რკალში ჩამწყვდევით აბრამვებს მის გონებრივ სიფხიზლეს, შეუძლებელს უხდის გარემოთა შეცნობას, საზოგადოებრივ მაჯისცემის გაგებას, მის სულიერ განცდებში წვდომას და მის ნამდვილ ვითარების საზოგადოების წინაშე მხატვრული სურათებით გამოფენას. საბჭოთა მწერლობის პროზა და პოეზია აყვანილი დიქტატურის სადიდებელ ტრიბუნაზე მოკლებულია მხატვრულ ფორმას, მისი შინაარსი არ გამოხატავს საზოგადოებრივ ცხოვრების რეალურ ასახვას. მათ მიერ ოდნავ ბელეტრისტულ მოხაზულობით გამოქვეყნებულ ნაწარმოებში, წარმოდგენილია სოფლის ან ქარხნის კორესპონდენტი, ოფლში რომ იწურება კრების მიმდინარეობა, დამსწრეთა სიტყვა და დიალოგი ისე ასწყოროს სათავეში მყოფ მართველობას რომ ესიამოვნება და მოუხდება. რა თქმა უნდა არც ერთი გამოყვანილი ტიპები არ სჩივიან საკუთარ ცხოვრების დუხჭირ პირობებზე, მას თითქოს არ სცალია ამ «ეგოისტურ-მეშჩანურ მოთხოვნილებებისთვის». ის ჩაბმულია, გიგანტურ სოციალისტურ აღმშენებლობის განხორციელებაში»; ამაზე მსჯელობს, ოცნებობს, ამ გზაზე გამოყვანილ უნდა იქნეს გმირები, აღტაცებული, თავდავიწყებული, მეოცნებე; თუ თვითეულ მათგანს სინამდვილეში სიმშილით კუჭი უხმება, ადამიანურ ცხოვრების საშუალებას მოკლებულია, ეს საბჭოთა მწერალს არ ეხება. უკანასკნელმა ის მხატვრულად მორთულ-მოკაზმული მკითხველს უნდა აჩვენოს. «ყოველი კლასის ლიტერატურა აუცილებლათ კლასიურად ტენდენციურია და უტილიტარული მიზნებითაა აღჭურვილი» ასწავლის «კომ-კალმოსნებს» ვიღაც ნატრომშვილი. ჩვენ არ გვქონებია განზრახვა ლიტერატურულ ნაცარქექიებს თეორიულ კამათში გავყოლოდით, მცირედი ნათქვამიდანაც ნათლათ დავინახეთ, რომ საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა მართლაც ამ გაბატონებულ კლასის, მჩაგვრელის და მყვლეფელის მიმართ, მათივე სიტყვით რომ ვსთქვათ, უტილიტარული მიზნებით არის აღჭურვილი. არა ნაკლებ ტრაგიკულ პირობებშია ქართული ენის მომავალი. ძველ ფეოდალთა სასახლის კარებზე მყოფ პოეტთა ხოტბით შეზავებულ ლირიკულ ჩანგის ჟღერამ ერის მომავალს დაუტოვა დარბაისული კილო, უხვ სიტყვათა საღარო, რომელიც შემდეგ გაიწმინდა, გალამაზდა, საფუძვლათ დაედო სიტყვა-კაზმულ მწერლობის განვითარებას. დღეს კი წითელ ბატონთა

ცბიერებისა და ფინანსიური კაპიტალისა. ამ დიდი საფრთხის დროს ამერიკელები თავს მარტოდ გრძნობენ. ამ 51 წლის წინეთ ჰენგელსი ბებელს უმტკიცებდა—«ამერიკის იმპერიალიზმის მომავალ აქტივობას», მაგრამ მას ჯერ ვერ ამოუღია ხმალი, ვერ გადაუწყვეტია ბრძოლის ველზე გასვლა, თავზე ხელაღებულ იაპონელებთან შეტაკება. ის ეჭვებშია, მას რაღაცა აკლია. ჯერ ერთი შეერთებულ შტატების სახელმწიფო შესდგება მრავალ ნაციებისაგან მოწყვეტილ ნაკადებისაგან და მას არ აქვს ის, რაც აქვს იაპონელებს, ფრანგებს, ნემცებს, ე. ი. ნაციონალური სული, ნაციონალური გამბედაობა. მეორედ ის აღარავის უყვარს, არავის ნდობით არ სარგებლობს, რადგანაც მსოფლიო ომის დროს ითაღლითა, ისარგებლა ბნელი ღამით და კიდეც მთელი კაცობრიობა გაქურდა.

საერთო სასაკლაოზე კი ძევს უბედური ჩინეთი. ძველი ვებერთელა ქვეყანა ისტორიისაგან დღეს ეს უპატრონოდ არის მიტოვებული. მას წილად აღარ ხვდა ეროვნული აღორძინება, დამოუკიდებელი სახელმწიფო ცხოვრება, მოწინავე რიგებში ყოფნა. ის იქცა იმპერიალისტურ მტაცებლობის გასაყოფ საგნად, იმპერიალისტური სვავ-ყორანთა საძიძგნ ლეშად. იქ ყველა ბატონობდა, ყველა ბრძანებლობდა, ყველა ნავარდობდა, ყველა ზეიმობდა, გარდა ჩინელებისა. მთელი საუკუნის მანძილზე მის ტყავს სჭრიდენ, მის სხეულს სერავენ. ყველა აბუჩად იგდებდა, ძარცვავდა, ძაღლად სთვლიდა, ჰკლავდა მიტომ, რატომ ჩინეთში ცხოვრობენ, რატომ ჩინელებად დაბადებულან. შიგნით კი ის დაავადებულია რაღაც განუკურნებელი უცნაური სენით. ამ სენისაგან ის ჯერ არც მოკვდა, არც მორჩა, არც ცოცხალს ჰგავს, არც მკვდარს, არც ამ სოფელშია, არც სამარეში. მას საკუთარი თავი აღარ აბია. მას ვერ შეუგნია მისი ეროვნული ძალა, ვერ უცვნია თავისი ვინაობა და თუ მან თავის დროზე ვერ გაიგო ისტორიული მოვლენების მოთხოვნილება, მაშინ მას აღარ ელის ეროვნული თავისუფლების გაზაფხული...

საერთოდ, შორეულ აღმოსავლეთის საკითხი იაპონლებმა აქტუალურად გახსნეს. ამ ძლიერ მოძრაობას კი ველარ შეაჩერებენ სტიმსონის ნოტებით, ერთა ლიგის ლიმიტაციებით, ლიტონის ლოცვებით. პროცესი იქნება ხანგრძლივი, მძიმე და მთელი თავისი შედეგებით საბედისწერო კაცობრიობისათვის.

სულ სხვაა გიტლერის ამბები. ამ მოძრაობას ამოქმედებს როგორც ეროვნულ-იმპერიალისტური, ისე სოციალური ფაქტორები, შიგნით ის ემზადება სოციალისტური მოძრაობის გასასრესად, გარეთ რევანშისათვის—ვერსალის ხუნდების დასამსხვრევად. ეს მოძრაობა ზავს არ ნიშნავს, ეს არის სამოქალაქო იმპერიალისტური ომების პოლიტიკა. ეს არის ბისმარკის ისევ გაცოცხლება, მისი ამ ქვეყნად დაბრუნება, ხოლო სხვა ისტორიულ პერიოდში, სხვა სახით, სხვა ბისმარკებით. ეკონომიური დეპრესიებისაგან შეწუხებული, ვერსალის გალიაში მომწყვდეული გერმანია უკვე გამოჩდა ცხოვრების ზედა პირზედ თავისი გარკვეული მოთხოვნილებით. ეს მოძრაობა ორივე სახით წინ მიდის, ძლიერდება. თავის მემუარებს ყოფილი იმპ. ვილჰელმი შემდეგი სიტყვებით ათავებდა: «ჩვენს წინაალმდეგ იბრძოდა 28 სახელმწიფო. დავმარცხდით, მაგრამ მწამს გერმანიის ხელახალი აღდგენა, მისი ძლიერება. გერმანელები ისევ დაიჭერენ მსოფლიოში პირველ საპატიო ადგილს და დაასრულებენ თავიანთ ისტორიულ მისიასო» *). გიტლერიზმი (ნაციონალისტები «ბატონების კლუბი» და სხვებიც) მიზნად ისახავს ამ ისტორიულ ამოცანისათვის ბრძოლას. განსაზღვრულმა ობიექტიურმა პირობებმა კი დააჩქარეს ამ მღვრიე ტალღების ადიდება. ამ მოძრაობაში დღეს თავს იყრის ყველა: იუნკერი და კაპიტალისტი, მღვდელი და ბერი, ვაჭარი და ინტელიგენტი, მუშა და გლეხი, ერთი სიტყვით, «ცულიანი და უცულო». ყველა კლასებისაგან ადიდებულ ზვირთებს კი სათავეში უდგია რეაქციონური იდეოლოგია. კრიზისებისაგან დაფრთხალ მასსას გზა-კვალი აებნა. დაჰკარგა საკუთარი თავი, ჩავარდა უიმედობის ჰაოსში და მიჰყვება რეაქციის ტალღებს. გიტლერი მას პირდება პურს, სამუშაოს, გერმანიის განახლებას, მის საგარეო პრესტიჟის აღდგენას. მაგრამ ეს დაპირება წარმავილია. როცა გიტლერი ავა ტახტზე სწორედ მაშინ ის გადაუხდის თავის ბრბოს «მადლობას» ლიუტერის დაპირებათა რეალიზაციით **). საერთოდ კი გიტლერიზმი გაართულებს გერმანიის საგარეო მდგომარეობას, გააძლიერებს მსოფლიო ანარქიას, გამოიწვევს ევროპის ხელახალ გადაჯგუფებას, ამოსწურავს შიგნით ერის სასიცოცხლო ძალებს. განსაკუთრებით კი მთავარი უბედურება თავს დაატყდება მუშათა კლასს. დღეს გერმანიაში მზად არის ნიადაგი ყოველგვარ შესაძლებლობისათვის, ყოველგვარ უბედურებისათვის. თვით პაპენის პრეზიდენტალური მთავრობაც დროებითია. ის იმყოფება მიმავალ-მომავალ პერიოდების შუა წერტილზე, ორ ხრამს შუა·ულელტეხილზე. არვინ იცის რომელი ქარიშხალი, რომელ ხრამში გადაისვრის.

ისტორიამ თამაში არ იცის. ბისმარკმა კაცობრიობას დაუტოვა სუდანის ტრაღედია, სუდანმა—პარიზის კომუნა. ისტორიული განვითარების ძალთა განწყობილება შეიცვალა. სუდანს უპასუხეს—ვერსალით. დაბერა სხვა ნიავმა და ვერსალის «შესასვენებელი წერტილიც» საფრთხეშია.

მძიმე იქნება გერმანიის ამბების მსვლელობა, მაგრამ ის წინ წავა. მას ვერვინ შეაჩერებს.

დღეს «ისტორიული მოძრაობის საიდუმლო ძალები კიდევ უფრო ბრმად, მტრულად, ძალმომრეობითად მოქმედებენ» (ჰენგელსი), ვიდრე გუშინ. კაცობრიობა ეხვევა ანარქიაში. ეძებენ მშვიდობიანობას და უმზადებენ სასაკლაოს. ყველა თრთის, ელის რაღაცას; ზავის საკითხი ჰქმნის ომის საფრთხეს, ომის საფრთხე—ზავის იდეას. სამწუხაროდ, ასეთ დროს, როცა მიმავალ-მომავალ ეპოქების მშობიარეობა მიმდინარეობს მწარე ტკივილებით, მუშათა კლასის ხვედრითი წონა მიმდინარე მოვლენებში ძალიანი მცირეა. თვით მეორე ინტერნაციონალიც ისტორიამ უკან მიატოვა. მან დღემდის ვერ გაარკვია ფაშიზმის ბუნება. საერთოდ ამ მძიმე პროცესში ისახება საუკეთესო მომავალი, მძიმე და ძნელი იქნება ყველასათვის ისტორიული მოვლენების მსვლელობა, მაგრამ ნაადრევად «არას გვარგებს უსარგებლოთ ცრემლთა დენა». ბევრი მინდოდა მეწერა. ამით გავათავე.

◆

---

*) ასე სწერდა ის არა პოტსდამში, არამედ ჰოლანდიაში რამოდენიმე წლის შემდეგ.

**) მხედველობაში მაქვს 1525 წლის ამბები და იმ დროინდელი ლიუტერი. მაშინ მონებისათვის მაინც იყო ერთი საზომი: საჭმელი, საპანლე, მათრახი ვირის (cibum onus et virgem osino). მაგრამ ეხლა გიტლერის მონები დაკარგავენ მთავარს—საჭმელს და ჯილდოთ შერჩებათ—მათრახი და საპანე.

სადიდებელი პოლიტიკური თუ მხატვრული ენა გადამახინჯებული, გადაგვარებული, მრავალ გადმოქართულებულ, რუსულ კომუნისტურ ხმარებისთვის გამოგონილ სიტყვებით შევსებული განსაცდელში აყენებს ჩვენი ენის სიწმინდეს. ამის საუკეთესო ნიმუში ყოველდღიური პრესაა, მკითხველს რომ გამუდმებით აწოდებს უმეცრებით და ბრიყვული ხელით დაჯღაბნილ წერილებს. ოღონდ პარტიის გენერალური ხაზის გამართლება კი იყვეს გატარებული, დამპყრობელთა მიმართ ქათინაურები უხვათ გადმოლაგებული, როგორი სიტყვებით იქნება ის აწყობილი და დალაგებული ამისთვის თავს არ იტკივებენ მოსკოვის სამსახურში შესული ქართველი მოღალატენი.

ქართველი ერის კულტურული სიმწიფე. რუსთაველის, აკაკის, ილიას, ვაჟას, ყაზბეგის, ნინოშვილის და მათი თაობის ლიტერატურული მემკვიდრეობის სიძლიერე, განოყიერებულ ნიადაგზე აღმოცენებული ლიტერატურული შემოქმედების ყლორტები ისე ფესვებ გამდგარი გამოდგა ხალხის გულში, რომ რუსის ხიშტით გამეფებულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ მის წინაალმდეგ აშკარა ბრძოლის მაგიერ ხელი მიჰყო მათ ნაწარმოების გამოცემას, დემაგოგიური ზომებით შეეცადა ხალხის გულის მოგებას, მასთან დაახლოვებას. რომელიმე ზემოხსენებული სასიქადულო მწერალთაგანი დღეს რომ ცოცხალი იყვეს «ჩეკის» სარდაფს ან რუსეთის ცივ მხარეს ვერ აცდებოდა, ეს კარგად იცის დღეს ქართულმა ოჯახმა, რომელიც არ დარჩენილა, გარდა მოღალატეთა, აუტირებელი და დაობლებული არ იყვეს. ამათვის კლასიკური ნაწარმოები ისე, როგორც წინეთ, ხელზე საგოგმანებელი გამხდარა. განა აკაკის «თვითმპყრობელო დაგვეხსენი», ილიას კომუნისტური ლუარსაბები და მრავალი სხვანი დღეს სინამდვილეში არ არსებობენ?!. ნინოშვილის სიმონა განა დღესაც აჯანყებული არაა სოფლის მძარცველების წინაალმდეგ, ბრძოლის გუნდებს რომ აგროვებს?.. ქართველი მკითხველი ისევ მათში პოებს სული'ს სიმშვიდეს, სიხარულის ცრემლებს, იმედის ჩაუქრობელ ცეცხლის ნაპერწკლებს და არა ქუჩიშვილ-ტაბიძეების სტალინის მადიდებელ სიმღერებში; ან ახლად გამომცხვარ ეულ-ბოხოხაძეების ცინიკურ «ბოლშევიკურ განთიადში». სადაც «მე საქართველოს ვერ შევამკობ, არის რაც არის, ველარ მოისხამს მწვანე ფარჩებს მთები ქვისანი, კლდეთა ხრიოკზე განადგურდა ქრისტეს ტაძარი და მეც სამშობლო სხვა-გვარი სახით გამოვიცანიო». დიახ! ისინი ვერ შემკობენ საქართველოს და ვერც გამოიცნობენ მის ნამდვილ სახეს, მათგან «მწვანე ფარჩებს შემოხვეული» მთებიც ისევ მწვანე ფოთლებით შეიმოსება და მათგან დანგრეული სიმართლის ტაძარი სამფეროვანი ფროშით შეიმკობა. ქართულ ლიტერატურის მიმდინარე ვითარება ცხადია «პოლ. მწერლობით» არ ამოიწურება; ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ ზოგიერთ მწერლისგან შექმნილ ისტორიულ რომანსა თუ სხვა კლასიკურ ნაწარმოებთა კრიტიკულ გარჩევას; თუ მათ არ ვეხმაურებით ვრცლად, არა ნაკლებ ვაფასებთ მათ ღირებულებას. მაგრამ ჩვენი ლიტერატურის მომავალ განვითარებისთვის გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ახალ წყაროთა დენის შეჩერებას. ამის მიზეზია ის ოფიციალური მწერლობა, რომლისგან შექმნილ პირობებში ალკვეთილია თავისუფალ მოაზროვნეთა შემოქმედებითი მუშაობა. თვით კი რა შესძინა ახალი 15 წლის მანძილზე ქართულ კულტურას? არც ერთი ნაწარმოები, რომელსაც შეეძლო ოდნავ კვალი დაეჩინა ჩვენ ეროვნულ განვითარების გზაზე; ის საოკუპაციო ხელისუფლების სამსახურში დაკნინებული, დახურდავებული მხოლოდ ზურგზე აზის ქართული ლიტერატურის ბედს, მის მომავალს და გასაქანს არ აძლევს, ცდილობს ახალ ნორჩ თაობას სული მოუწამლოს, ძალადობის კულტის ჩანერგვით თავისუფლების სიყვარული მის გულიდან ამოგლიჯოს, უცხო ენიდან გადმოღებულ ჰანგებზე აგვიზარდონ, უცხო ხიშტის ბატონობის გახანგრძლივებას შეარიგოს.

ეს თაობა აკაკის სიტყვებით შეხვდება თითეული მათ მოწოდებას:

«ვერც მომხიბლავ ცრუ მოყვარე,
ვერც ენით, ვერც ტრაბახობით
შეგიპყრივარ როგორც ძაღა,
გველეშაპსა ძალადობით».

ჩრდილოეთის გველეშაპის თავიდან მოშორებას ჩვენს დედა-ქალაქში გაბატონებული «ლიტერატურული ფინიებიც» თან გადაყობა, რადგან აკაკის დაფმა და ნაღარამ უკვე იპოვა დაზრდილი გმირები, სამშობლოს განთავისუფლების საქმეს, რომ ეწირებიან და მის მომავალ აღდგენისთვის ემზადებიან.

ლეისპირელი.

◆

პ ა რ ტ ი ი ს დ ღ ე

როგორც ვიცით, პირველი არალეგალური სხდომები საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის დასაარსებლად მოხდა იანვრის თვეში. შემთხვევამ ინება რომ ამავე თვეში დაბადებულიყო ამავე პარტიის დამაარსებელი და მისი უდაო ხელმძღვანელი ამხ. ნ. ჟორდანია. ორივე ეს ღირს აღსანიშნავი დღე შეერთებულ იქნა და მის აღსანიშნავად შესდგა პარტიული საგანგებო სხდომა, რომელიც საპატიო მიზეზის გამო, იანვარის მაგიერ, გაიმართა ორ თებერვალს.

სხდომას, რომელსაც დაესწრო 85 პარტ. წევრი, ხელმძღვანელობდა ამხ. აკ. ჩხენკელი. ამხ. ნ. ჟორდანიას შემოსვლას მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით და მხურვალე ტაშით შეხვდა. სხდომაზე, პარტიის დღის მნიშვნელობაზე, პარტიის მოღვაწეობაზე წარსულში და აწმყოში, და იმ როლზე, რომელიც პარტიის დაარსებაში და მის მოღვაწეობაში ითამაშა ამხ. ნ. ჟორდანიამ—ვრცელი და საინტერესო სიტყვები წარმოსთქვეს ამხანაგებმა: აკ. ჩხენკელმა, კ. გვარჯალაძემ, გრ. ურატაძემ, ს. ბლიაძემ, გ. ერაძემ, ინა ჟორდანიამ, ვ. გოგვაძემ, ს. გოგიბერიძემ და პ. ვაშაძემ. ამხ. ნოემ მოუთხრო და გააცნო დამწრეთ პარტიის დაარსების პირველი მომენტი და მისი მეთაურნი. განსაკუთრებით კი შეჩერდა ეგ. ნინოშვილის როლზე. ამხ. ნ. ჟორდანიამ მიიღო მრავალი მოლოცვის დეპეშები და წერილები, მათ შორის, სოშოს სოც.-დემ. ორგანიზაციისაგან და ბერლინის ამხანაგებისაგან.

სხდომა გაგრძელდა საღამოს შვიდ საათამდე მეტად ამხანაგურ და ინტიმურ ატმოსფერაში. საერთო აღტაცება გამოიწვია პაწია ეთერი ფალავამ, რომელმაც მშვენივრად წაიკითხა პატარა ლექსი—«საქართველოს».

სხდომის მონაწილენი დაიშალენ მეტად კმაყოფილი იმ რწმენით, რომ ამ დღის აღნიშვნა გახდება ტრადიციათ და ყოველ წელს გაიმართება კიდევ უფრო მომზადებულად...

გრ.

◆

ემილ ვანდერველდეს 70 წლის თავი

გასულ იანვრის 25-ს ბელგიის მუშათა პარტიამ დიდი ზეიმით გადაიხადა ემილ ვანდერველდეს დაბადების 70 წლის თავი. ამ დღისათვის იუბილიარმა მიიღო ათასობით მისალოცი დეპეშები და წერილები ყველა ქვეყნების სოციალისტური პარტიებისაგან, მუშათა სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან, პოლიტიკურ მოღვაწეთ, მწერალთ და კერძო პირთაგან. ვანდერველდეს დეპეშით მიულოცეს და მიესალმენ საქარ. სოც.-დემ. პარტიის სახელით ნ. ჟორდანია და კ. გვარჯალაძე.

◆

მ ა თ შ ო რ ი ს

მათ შორის მორიგი კინკლაობაა. ობერჩეკისტმა ბერიამ დაუცაცხანა თავის მაჩანჩალა ფ. მახარაძეს, რომელიც ისედაც ეს ათი წელია შეშინებული ხეს უყეფს. ის ვერ იპატივა მოსკოვის ჩინმა და ტემლაკებმა, ჯილდოთ მიღებულმა რუსის ურდოების საქართველოში შემოყვანისათვის. ერთხელ, მას ჟამსა შინა, ეს თავისი ნამუშევარი არ მოეწონა, თავისი აზრების გამოჩენა მოიწადინა, მაგრამ ჩქარა დაინახა რომ მას აზრს არავინ ეკითხებოდა და ისევ ამყოლის აყოლა არჩია. იყო წყნარათ, თავის სავარძელზე დამშვიდებული. და უცებ კიდევ მარცხი, თვით სტალინის «ნამესტნიკმა» შემოუტია და ამ შულავერის გმირს ენა მუცელში ჩაავდებია. რა იყო, რა მოხდა?

ბერიამ დასწერა წიგნი თავისი აღის—სტალინის სადიდებლათ; დასწერა, რასაკვირელია, ჩეკისტურათ, ისტორიული ამბების არევ-დარევით და თავისი მომავლინებელის უზომო ქებათა-ქებით. წიგნი მიმართულია უმთავრესათ ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ, რომლის დანაშაულობა დიდი ყოფილა: სათავეში ჩადგომია მენშევიკურ მიმდინარეობას და თავიდანვე შებრძოლებია ბოლშევიზმს. ამ უდაო ფაქტის ირგვლივ მოთხრობილია ყოველნაირი ზღაპარი სტალინის შესახებ, თითქოს ეს პიროვნება ყოფილიყოს დიდი ფიგურა კავკასიის მოძრაობაში და მის ირგვლივ გაჩაღებულიყოს შინა პარტიული ბრძოლები. ნამდვილათ კი ყველამ იცის სტალინის უსუსურობა საქართველოში; მას არც თავის ფრაქციაში ქონდა რაიმე ძალა და მნიშვნელობა, არც ჩვენსაში. არასოდეს ის არც ერთ პასუხისმგებელ პოსტზე არ ყოფილა არჩეული, არც ერთ გადამჭრელ პარტიულ თუ პოლიტიკურ მომენტებში ის არ გამოჩენილა, მას თავისივე ამხანაგებიც ერეკებოდენ თავისი წრიდან. შაუმიან-სტალინის ბრძოლა ერთმანეთთან ცნობილია ბაქოში. ეს ცნობილი უტყუარი ამბავი ნათელჰყო ბ. სუვარინმაც თავის შრომაში და ის სრულიად უდაოთ გახადა ყველა წყაროების მიხედვით. ბერიამ თამამათ, ჩეკისტურათ, გადააბიჯა ამ უდაო ისტორიას და სტალინი გამოიყვანა დიდ კაცათ ჭაბუკობის დროიდანვე. აი ეს «დიდი კაცი» თურმე ვერ დაინახა არა თუ მტერმა, არამედ მოყვარემაც, ვერავინ, ამათ შორის ვერც ფ. მახარაძემ და აბა ამას ბერია როგორ აპატიებდა. ამ რამდენიმე წლის წინეთ მ. ცხაკაიამ დასტამბა მოგონება, სადაც სტალინი გამოიყვანა მისი განკარგულების ამსრულებელ პიროვნებათ, უბრალო კურიერათ. ამისათვის მას კიდევაც მოხვდა, ის იქნა გადაყვანილი მოსკოვში და ჩარიცხული ინვალიდთა შორის. ფილიპემ ჭკვა ვერ ისწავლა და ახლა ბერიამ საკმაოთ ასწავლა. შედეგია ფილიპეს ვებერთელა ფელეტონი, ცოდვათა მონანიების და შენდობის, სადაც ყოველივე ღირსება თავისივე ხელით აიყარა. აბა ნახეთ და გაიგეთ რამდენათ შეუძლია ბოლშევიკს დაეცეს, სულით დამდაბლდეს და ადამიანობაზე ხელი აიღოს.

შულავერის გმირი სწერს:

«ჩემს მიერ იქ გამოთქმული შეხედულობები სრულიად უმართებულოა, მათ საერთო არაფერი აქვთ ბოლშევიკების პოზიციასთან და მე სრულიად გულწრფელათ ვაცხადებ რომ ამხ. ლ. ბერია სავსებით მართალია». «მე ვერაფრით ვერ ამიხსნია თუ როგორ მოხდა რომ ასეთი უაზრობა დავსწერე». «ყველაზე უფრო სერიოზული შეცდომა მე დაუშვი ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხში... მე სრულიად დავშორდი კომუნისტური პარტიის სწორ ხაზს». «ამის შემდეგ მე გარდავიქენი და ერთხელ და სამუდამოთ ჩამოვშორდი ნაციონალუკლონიზმს». «ყველაფერი ჩემზე ნათქვამი (ბერიას მიერ) სავსებით მართალია». სტალინის დიდ-კაცობაზე «ჩემს ისტორიულ ნაშრომებში სიტყვაც არ არის ნათქვამი. ეს შეუწყნარებელია. სწორედ ამაში მდგომარეობს ყველაზე მთავარი და ულრმესი შეცდომა», რაიცა დავინახე «განსაკუთრებით ლ. ბერიას მითითების შემდეგ» და სხ. და სხ. («კომუნისტი» 4-1-36).

ასე სამაგალითოთ გაიწკეპლა თავისი თავი ბოლშევიკების ლიდერმა და დაუჩოქა პოლიციის უფროს—მაპატიეო. მაგათზე ახია, რუსის ურდოების შემომყვანნი, ერის მოღალატენი იმკიან იმას, რაც დათესეს; ხალხისაკენ შესაბრუნებელი პირი არ აქვთ და ძალაუნებურათ სტალინ-ბერიებს უნდა ელაქუცონ და მათ წინაშე ილოცონ:

«სულო ბოროტო, შენკენ მოვილტვი,
ბედნიერებას არ გთხოვ, ნუ მომცემ
შენგან წყალობათ იმას მივითვლი
თუ ჩემს მოძმეებს როგორმე დასცემ.
გაქებ, გადიდებ, სულო ბოროტო.
მუხლმოყრით ყოველ ღამე გილოცავ
თუ ეცდები და ჩემს მოძმეებს
პატიოსნებას ამოუხოცავ...
პირმოთნეობის, მოღალატობის
და ორპირობის მომმატე ნიჭი
რომ ვიმოქმედო ჩემს ქვეყანაში
და თანდათან წინ წავადგა ბიჯი...»

ია.

◆

გენ. ჩხეიძის წერილის გამო

გენ. ჩხეიძემ მოათავსა ჟურ. «მხედარი»-ს ნომრებში თავისი მოგონებები საქართველოს სამი წლის ვითარების შესახებ; თავისებურათ დააფასა პოლიტიკური და სამხედრო მომქმედი პირები; ყველანი დაიწუნა, მხოლოდ თავისი თავი და თავისიანები მოიწონა!

უყურადღებოთ არც ჯავშნიანი მატარებლები დასტოვა. მე პასუხის გაცემას აქ არ ვფიქრობდი რომ ერთი გარემოება არ მაიძულებდეს:

ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, ნაწილი მომქმედი და არა მომქმედი პირებისა სამშვიდობოში გამოიხიზნა. ჯავშნიანი მატარებლების მეომრებმა, მიუხედავათ იმისა, რომ აუცილებელი საფრთხე მოელოდათ იქ დარჩენით, არ მოისურვეს გამოხიზვნა, დარჩნენ თავის სადარაჯოებზე და მრავალი მათგანი მსხვერპლად შეეწირა სამშობლოს წმიდა საკურთხეველს. მთელი შემადგენლობიდან მხოლოდ მე ერთი წამოვედი საზღვარ გარეთ. და რადგანაც იმათ, არც მკვდრებს და არც ცოცხლებს საშვალება არ აქვთ თავი დაიცვან სამშვიდობოს გამოსულ უსამართლო თავდამსხმელებიდან, მე მოვალეთ ვრაცხ თავს, როგორც მათი უფროსი ხელმძღვანელი, პასუხი გავცე მთავარ მათგანს.

«მხედარი»-ს მე-XIII ნომერში ვკითხულობთ შემდეგს:

«26 თებერვალს, დილის 7 საათზე, მოვიდა ბრძანება: უნდა გავსულიყავით მცხეთიდან გორისაკენ. გვარდიას უნდა ევლო მტკვრის მარცხენა ნაპირით, ხოლო არმიას—მტკვრის მარჯვენა ნაპირზე კავთის ხევისა და ქალაქის გამოვლით; ჯერ კიდევ, გათენებული არ იყო, და ყველა გამოაღვიძა ზარბაზნების გრგვინვამ და ტყვიამფრქვეველთა სროლის რახრა ხმა; გრგვინვა იყო უსაშველო! გავილვიძე; ვერას გზით ვერ მომესაზრა, თუ რა ხდებოდა! რა ზარბაზნებია, ან ვის უშენენ! მინებ ჩამტვრეული სადგური კი კანკალებდა. ბოლოს შევხედე ფანჯრების წინ მომანიოვრე გოგვაძის ჯავშნოსან მატარებელს, რომელიც თავგამოდებით ესროდა ზარბაზნებიდან და ტყვიისმფრქვეველებიდან უჩინარ მტერს. ცაში ტუჩ-მიშვერილი ზარბაზნების დანახვაზე მეგონა, რომ მტრის მფრინავები გამოჩდენ; მაგრამ გამოირკვა, რომ ისინი ებრძოდენ სადგურზე დამყურე მწვერვალებს. ამბობდენ, რომ იქიდან ვიღაცას ესროლა და ხელ-ყუმბარებიც გადმოეყარა; ყოველ შემთხვევაში ჯავსნოსანმა მატარებელმა შეასრულა ცნობილი არაკის სამსახური! თუ ადამიანს რამოდენიმედ კიდევ რჩებოდა იმედი, რომ დილას დაწყობილი და მოყვანილი იქნებოდენ წესრიგში გვარდია და არმიის დარჩენილი ნაწილები, ზარბაზნების გრიალთან ერთად ყველაფერი გათავდა და ყოველგვარი შესაძლებლობა დაილუპა. იმის მაგიერ, რომ ჯავშნოსანი მატარებელი გასულიყო მცხეთის წინ, ვიწრო გასავალში, სადაც მისი მოქმედებისათვის შესანიშნავი პირობები იყო, და გაემაგრებინა იქ მყოფი ცხენოსანი პოლკი, წამოვიდა და დადგა პირდაპირ სადგურთან, და დილას თავისი სროლით ყველა პირწმინდათ გარეკა. მცხეთიდან გაიქცენ გორისაკენ უკანასკნელ კაცამდე, რითაც კი შეიძლებოდა!..»

გავსინჯოთ რამდენად სამართლიანია გენერალის აზრი ჯავშნიან მატარებლის მოქმედებაზე მცხეთაში:

გენერ. ამბობს რომ ზარბაზნების და ტყვიისმფრქვეველების გრგვინვა-ჭექამ ყველანი გამოაღვიძა, მეც გამოვიღვიძე და ვერ მოვისაზრე თუ რა ხდებოდა—ვის ესროდენო!.. სჩანს რომ გენერალი თავის ამალით სღათას ძილს მისცემია და ასეთ შემთხვევაში მართლაც საშინელებაა ზარბაზნების გრგვინვა და ტყვიათმფრქვეველების ჭექა-ქუხილი, რისთვისაც ერთი დამრჩენია—ბოდიში მოუხადო ძილის დაფრთხობისათვის იქ, სადაც სიფხიზლე და დარაჯობა მეტად საჭირო და სასარგებლოც იქნებოდა. აღნიშნავს იმასაც რომ ზარბაზნებს ტუჩები მაღლა ჰქონდა აშვერილიო და მიგვითითებს სტრატეგიულ ვიწრო გასავალზე სადაც ცხენოსან ჯარისათვის ზურგი უნდა გაგვემაგრებია. მაგრამ საკითხია, რისთვის? გენერლის შთაბეჭდილებით მტერი არ ყოფილა ხოლო ვიღაცას უსვრია მთის წვერვალოდან და ხელყუმბარებიც გადმოუყრია. დავიჯეროთ ერთი წუთით რომ არ იყო მტერი; მაშ რათ გამოვიქეცით თფილისიდან? და თუ გამოვიქეცით იმიტომ რომ მტერი მოგვაწვა, რატომ არ შეეძლო იმავე მტერს

ჩვენი დევნა? აბა მოყვარე ხომ არ გვესვრიდა და ხელყუმბარებს არ გადმოგვაყრიდა მთის წვერვალოებიდან? და თუ ამ დროს ჯავშნიან მატარებლის მეომრები ფხიზლობდენ და მძინარე მხედრობას მტერს უგერიებდენ—რას ედავებით მას?

თქვენის თქმით ჯავშნოსანის სროლამ მცხეთის ფრონტი მოშალა. მცხეთაში ფრონტი არ ყოფილა და მაშასადამე არც მოშლა შეიძლებოდა. რომ ყოფილიყო ვერც ჯავშ. მატარებლის სროლა მოშლიდა, რადგანაც ისინი მტერს უშენდენ და არა მოყვარეს! პირიქით, გაამაგრებდა კიდეც!

თუ რატომ ვერ მოეწყო მცხეთაში ფრონტი და რა იყო მისი მიზეზი მოგახსენებთ მოკლეთ, იმას რაც ჩემი თვალით ვნახე.

1921 წელს, თებერვლის 24, ვიმყოფებოდი ფოილოს მიმართულებით და სხვა ნაწილებთან ერთად ჯავშნიანი მატარებლებით მტერს უტევდით. შუაღამისას მივილე თფილისიდან მთავრობის დეპეშა, რომ ერთი ჯავშნიანი მატარებლით სასწრაფოთ თფილისში ჩამოვსულიყავი. ბრძანება მაშინვე სისრულეში მოვიყვანე და ერთი ჯავშნოსნით დედაქალაქის სადგურში ჩამოვედი. აქ გადმომცეს მთავარ სარდლის ბრძანება—რადგანაც თფილისის დატოვება გადაეწყვიტათ და ამავე დროს ავჭალა მტრის ხელში იყო წავსულიყავი იქ, იქაურობა მტრისგან გამეწმინდა, მოვბრუნებულიყავი ისევ თფილისში და სასწრაფოდ მთავრობა მცხეთაში გამეყვანა.

ჯავშნიანი მატარებელით ავჭალისკენ გავეშურე, მტრის მცირე გუნდი გარეკილ იქნა, მილიცია და სადგურის მოსამსახურენი თავის ადგილზე აღდგენილ იქნა. დავბრუნდი ისევ თფილისში და მთავრობის მატარებელი მცხეთაში გავიყვანე. აქ ცნობა მივილე რომ მტერი ისევ ავჭალას ემუქრებოდა, ისევ გამოვბრუნდი ავჭალას, რათა მტერს არ მოესწრო და ჩვენი ჯარისთვის უკან დასახევი გზა არ მოეჭრა.

25 თებერვალს, გათენებისას, ჩვენი ჯარის წინ მავალი ავჭალის სადგურთან ჩამოვიდა; ამ დროს ავჭალის ჩრდილო-მდებარე მთიდან მტერმა სროლა აგვიტეხა. მე ჯავშნოსანი მოხერხებულ ალაგას დავაყენე და მტერს ზარბაზნებით უპასუხე. სროლის დროს ჩემთან მოვიდა მთიელების ჯარის უფროსი, რომლებიც ჩვენ ჯართან ერთად უკან იხევდა და თავის ჯარი ჩემს განკარგულებაში გამოაცხადა. მე მას ამოცანა მივეცი, რომ მტერზე იერიში მიეტანათ. მთიელებმა ელვის სისწრაფით შეუტიეს მტერს; ნახევარ საათში მთა ჩვენ ხელში გადმოვიდა და ჩვენს ჯარს საშვალება მიეცა უვნებლათ უკან დაეხია.

დაახლოებით ცხრა საათზე მცხეთაში ჩავედი. ცნობა მივილე რომ ჩვენი ჯარები თავის ნებით ქალ. გორისკენ მიემართებოდა და მე მათ ჯავშოსნით დავეწიე, გავაჩერე და თავისი მოვალეობანი მოვაგონე, აუხსენი რომ მთავარ-სარდლის ბრძანებით ფრონტი მცხეთაში უნდა გაიმართოს და თფილისი იერიშით უნდა აღებულ იქნას. ისინი უხმოდ დამემორჩილენ და უკან დაბრუნდენ. იდგენ ნაჩვენებ ალაგას მაღალ თოვლში და ბრძანებას უცდიდენ. დილის თერთმეტ საათზე სამი კაცისაგან მოციქული მომიგზავნეს, მთხოვდენ მათთვის ოფიცრები მიგვეცა და პოზიციაზე გაგვეგზავნა. უბედურებაც ის იყო რომ, პატრონი არ ჩნდა, ჯარი უხელმძღვანელოდ იყო მიტოვებული. მთავარ სარდალიც გვიან მობრძანდა. მთავარ-სარდლის გამოჩენით ცოტა საქმე გამოცოცხლდა, მაგრამ ფრონტი მცხეთაში მაინც ვერ მოეწყო და ის გორში გაემგზავრა. მეორე დღეს 26 თებერვალს დილის 7 საათზე ბრძანება გასცა, რათა ყველანი გორში წასულიყვენ.

გენ. ჩხეიძის მიზანია მცხეთის დიდი მარცხი თავზე ჩვენ მოგვახვიოს და ქართველი ერის რისხვა ნამდვილ დამნაშავებს თავიდგან ააშოროს. მაგრამ ყოველივე ასეთი ცდა სრულიად უნაყოფოა, რადგან არსებობს დაურღვეველი საბუთები და მრავალი მოწამე—თუ ვინ იყო ნამდვილი მიზეზი მცხეთის მარცხის და ჩვენი ჯარების ისეთ არევ დარევის.

ამის შემდეგ ჟურ. «მხედარი» ს (16) ვკითხულობ შემდეგს:

«რამდენიმე სიტყვა ბ. გოგვაძეს».

«კერძო წყაროებიდან ვიცი, რომ ბ. გოგვაძე ნაწყენია ჩემ მიერ მემუარში მცხეთაში ჯავშნოსან მატარებლის აწერის გამო. არავითარი განზრახვა არა მქონია პირადათ ბ. გოგვაძესთვის შეურაცყოფა მიმეყენებია, პოლონეთში შეხვედრისას ძალიან კარგ ურთიერთობაშიც ვიყავით ერთმანეთთან; ჩემი კრიტიკა ეხება ჯავშნოსანი მატარებლის მოქმედებას, მე არც კი ვიცი, ვინ უფროსობდა მცხეთაში ჯავშნოსან მატარებელს, თუ მე მისი გვარი მოვიხსენიე იმისთვის რომ ჯარში საერთოდ მუდამ ასე ამბობდენ: «გოგვაძის ჯავშნოსანი მატარებელი». ევროპის ჯარებში ჯავშნოსან მატარებლებს უფროსობდენ სპეციალურათ მომზადებული ოფიცრები უმაღლესი სამხედრო განათლებით, ჰყავს მას საუკეთესო მეზარბაზნენი. საუკეთესო მეტყვიათმფრქვევლები და საერთოთ პირველხარისხოვანი ჯარის კაცები, მატარებლის დამხმარე პერსონილი გაცნობილია ტექნიკასთან და სხვა. საწყენი არ უნდა იყოს თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ჯავშნოსანი მატარებლის პირადი შემადგენლობა არ შეეფერებოდა თავის დანიშნულებას.—აი, რას ვუსვამდი მე ხაზს.»

განვიხილოთ ესეც.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა დიდი ომის კრიზისის დროს. როდესაც ოსმალეთის ფრონტიდან მოხსნილი, თვითნებობით, რუსის ჯარი უკან ბრუნდებოდა გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდა. ამავე დროს მთელ ამიერ კავკასიაში წამოჰყვეს თავი ნაძირალებმა; ყოველი მხრიდან გარეშე მტერი მოგვაწვა; დაიწყო საშინელი ანარქია. ვისაც რით შეეძლო ქვეყნისათვის უნდა ეშველა. ჩვენ მტერს ჯავშნოსნები წავართვით და მისივე წინააღმდეგ მივმართეთ. ევროპიელები არ ვიყავით მაგრამ ქართველები ხომ ვიყავით?! ვინ იყვენ ჯავშნოსნებზე? ხელმძღვანელებათ იყვენ ომიდან დაბრუნებული ოფიცრები, ზემდეგები და ნაცვლები; ხელქვეითი მეომრების უმთავრესი ნაწილი. ომიდგან დაბრუნებული ჯარის კაცები. ხელმძღვანელები ყველა დაჯილდოებული იყვენ ცოდნის და ვაჟკაცობისათვის, აგრეთვე ჯარის კაცებიც. დამხმარე პერსონალი შესდგებოდა მცოდნე მოხელეებისაგან, რომლებიც მატარებლებს უწევდენ აუცილებელ დახმარებას. ისეთი ხანა იყო რომ ევროპიულ განათლებაზე ფიქრის დროც აღარ გქვონდა; ვაკეთებდით რაც შეგვეძლო, ამიერ-კავკასია დიდი სარბიელი იყო; ჯავშნოსან მატარებლებს უხდებოდა სხვის დაუხმარებლათ მუშაობა თფილისიდან სარაყამიშამდე და ბათუმ-ფოთამდე. ხშირად ორას ვერსს გავივლიდით და ერთ რკინის გზის მოსამსახურეს ვერ ვნახავდით. რკინის გზები დანგრეული იყო, ალაგ-ალაგ რელსები აყრილი და წაღებული, ხიდეები დამწვარი. ყოველივე თვითონ უნდა აღგვედგინა და მტრისთვისაც პასუხი გაგვეცა. ყოველივე ეს იწვევდა ხშირად ჯავშნოსნების ლიანდაგიდან გადავარდნას და საგრძნობ მსხვერპლს. მიუხედავათ ყოველივე ამისა ჯავშნოსნების მეომრები თავს არ ზოგავდენ და ბევრი მათგანი დაიღუპა უსწორო ბრძოლებში. როგორც სეიმის დროს, ისე საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, ჯავშნოსნებს პირველს გზავნიდენ მტრის შესახვედრათ.

თუ ევროპაში ჯავშნ. მატარებლები ითვლება დამხმარე ტექნიკურ ძალად და მათი მოქმედება სრულიად განსაზღვრულია, ჩვენში კი, პირიქით, უმეტეს შემთხვევაში სხვის დაუხმარებლად გვიხდებოდა ბრძოლა.

ჯავშნოსან მატარებლების ასეთი თავგანწირული და სასარგებლო მოქმედება დაფასებული იყო მთავრობისა და მთავარ სარდლებისაგან, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს ვღებულობდით და ხშირად ბრძანებებშიდაც ვიყავით გატარებული.

სანიმუშოდ ერთ ასეთ ბრძანებას აქვე ვათავსებთ.

«ბრძანება

რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლისა.

№ 11.

«12» მარტი 1921 წ. ქ. ლანჩხუთი.

ამა წლის 11 მარტს ჯავშნოსანი მატარებელი № 4 ალფეს გოგვაძეს მეთაურობით, იმ დროს როცა ქუთაისი მტრის მიერ უკვე დაკავებული იყო, შეიჭრა სადგურ ქუთაისში, სადაც მას მტერი თოფის სროლით დახვდა.

ჯავშნოსანი მატარებელი გმირულად შეებრძოლა აქ მტერს, რომელიც არანაკლებ ერთნახევარი ასეულიდან შესდგებოდა გაფანტა და უკუაქცია იგი, ბევრიც დახოცა და დასჭრა.

ჯავშნოსანმა მატარებელმა დაჰყო სადგურზე საათნახევარი, წამოიყვანა ტყვედ ოთხი კაცი, მტრის დახოცილებს და დაჭრილებს აართვა იარაღი, და ყველაფერი ის, რის გამოტანაც ვერ მოხერხდა ქუთაისში მტრის შესვლამდე გამოიტანა სადგურ რიონისაკენ.

ამისთანა გმირული მოქმედება № 4 ჯავშნოსან მატარებლისა ღირსია იმისა, რომ მაგალითად ჩაითვალოს მთელ ჯარისთვის.

შეურყევლობა მატარებლის პირადი შემადგენლობისა და მის მიერ თავისი პირადი მოვალეობის შეგნება სამშობლოს წინაშე არის ის, რასაც უნდა ეცადოს ყველა ჩვენგანი მიჰბაძოს.

ალფეს გოგვაძეს და № 4 ჯავშნოსან მატარებლის მთელ პირად შემადგენლობას ვუცხადებ სამსახურის სახელით ჩემ ღრმა მადლობას.

ამასთან ერთად ვსარგებლობ შემთხვევით აღვნიშნო საერთოდ ამ ომში მუშაობა განსაკუთრებულ მძიმე პირობებში ყველა ჩვენი ჯავშნოსანი მატარებლებისა ვლადიმერ გოგვაძის მეთაურობით, რაიც შედეგათ მიმაჩნია ზემო აღნიშნული მეთაურის და უღალავი მუშაობისა.

გენერალი კვინიტაძე.»

აქ ბ. გენერალს უნდა მოვახსენო რომ მართალია ჩვენ ვერ ვღირსეთ უმაღლეს სასწავლებელს და იგიც ევროპაში. მაგრამ სამაგიეროთ, ჩვენ ომს ომში ვსწავლობდით და ამისთვის გულიც გვიწვევდა. ამიერ-კავკასია და კერძოთ საქართველო ჩვენ მოქმედებას არ სწუნობდა. იქ არც ბ. გენ. გვიწუნებდა. მხოლოდ აქ მოისურვა მან ჩვენთვის ევროპიული დიპლომის მოთხოვნა; მაგრამ დაავიწყდა რომ ევროპიული ცოდნის დიპლომი არც მას გააჩნდა და ჩვენ გაჭადარავებულ გენერლებს პოლონეთის სამხედრო სკოლებში ოფიცრებთან ერთად ნაცვლებიც ამაცადინებდენ «ევროპიული ცოდნის» მისაღებად.

ბ-ნი გენერალი ამბობს, რომ გოგვაძეს ჩემი კრიტიკა ეწყინაო; მე კრიტიკა არ მწყენია, მე მწყენს ის რომ აქ უცხოეთში იწერება ბევრი ისეთი რამ რომლიც დიდათ საზარალო და საზიანოა ჩვენი ტანჯული ქვეყნისთვის, და თან მეტად უსამართლო და უსაბუთო. აი რა მწყენია მე...

ვ. გოგვაძე.

ემიგრანტული პრესა

«სოც. აზრი» კინკლაობის ხასიათზეა და შაირს ეძებს. მთელი მისი უკანასკნელი ნომერი (5) ასეთი შაირებითაა სავსე. ამ შაირების ძებნაში მისი თანამშრომლები ერთი-მეორეს ეცილებიან. სწორედ მაგათზე ითქმის: «რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია».

ჩვენი გაზეთის მოწინავე (№ 55) უკმაყოფილოა იმით რომ ჟენევა იგვიანებს, ფეხს ითრევს, რადიკალურ ზომებს არ მიმართავს აბისინიის დასაცავათ და მისი მოქმედების შესახებ, სხვათა შორის, სწერს: «ის ეძებს გამოსავალს ისე, რომ არც მწვადი დასწვას, არც შამფური. თოფ-ზარბაზანი გრიალებს აფრიკაში, ჟენევაში გრძელ გრძელი ენა წყლიანობა»... რომ «ერთი მხრით ომი, მეორე მხრით კი კეთილი სურვილები და უნაყოფო მსუბუქი ნაბიჯები» ო და სხ. აი ამ აზრებს ებრძვის «სოც. აზრი», და ისე გატაცებულია ლიგის მოქმედებით, რომ საჯაროთ აცხადებს: «ჩვენი, სოციალისტების იმედი მართლდება, ერთა ლიგა იცავს თვითგამორკვევის და სიმართლის პრინციპს» და სხ. ერთა ლიგა რომ მართლა «ამართლებდეს სოციალისტების იმედს» ინტერ. და პროფ. კავ. ბიუროს აღარ დასჭირდებოდათ ისეთი რეზოლიუციის მიღება, რომელიც მათ გამოიტანეს ამ წლის 16 იანვარს, რომლითაც ენერგიულად მოითხოვენ რომ ერთა ლიგამ [illegible] (ხაზი ჩვენია) პაქტით ნაგულისხმევი სანქციები მთელი სისრულით მიმართოს იტალიის წინააღმდეგ.

«სოც. აზრი»-ს თანამშრომლებს, როგორც სჩანს, ძალიან გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ ერთა ლიგაზე. მათ ვერ შეუთვისებიათ რომ დღევანდელი ლიგა არის არა მართლა ერთა ლიგა, არამედ კრებული მთავრობათა, რომლებიც მასში და მისი საშვალებით ახორციელებენ თავის კაპიტალისტურ და იმპერიალისტურ მიზნებს. ჩვენ ძალიან ურჩევთ «სოც. აზრი»-ს თანამშრომლებს გაეცნონ ინტერნაციონალის დადგენილებებს ერთა ლიგის შესახებ.

ორიოდე სიტყვა რ. არსენიძეს: წინა წერილში ის აცხადებდა რომ თავიდან გარეთ ვიდექი, ფრონტში არ შევდიოდიო. როცა ჩვენ მოვაგონეთ მისი გულმავიწყობა—ახლა ის ადასტურებს რომ «შევდიოდი ფრონტში რომელიც შემდგარი იყო საქართველოში და უცხოეთში 1921 წელს და გავშორდი მას 1926 წელსო». ეს მისი მეორე განცხადებაც საჭიროებს შესწორებას: 1921 წ. საქართველოში არავითარი ინტერ. ცენტრი არ ყოფილა, ხოლო ფრონტის საჭიროებას კი ის ენერგიულად იცავდა 1926 წ. შემდეგაც. საკვირველია, რომ არსენიძე არ თაკილობს ისეთ რამეს, რაც გარდა ყვითელი პრესისა, ყველას საზრახისად მიაჩნია—ესაა ფსევდონიმის უმართებულოთ გახსნა. რაც შეეხება მის განცხადებას—ლანძღვა-გინებაში არ შეგედავებითო—ეს ნამდვილი ჩემი შენ გითხარია. ლანძღვა-გინება მან დაიწყო და ახლა ჩვენ გვდებს ამაში ბრალს...

⁂

შაირების და გამოგონებათა ნამდვილი უსტაბაშები ფაშისტების «კავკაზ»-ში სხედან. ეს, მათი, ასე ვთქვათ, სამოქმედო პროგრამა. აქ რედაქტორი და თანამშრომელი ერთად თხზავენ, ერთად იგონებენ, ერთად ჭორიკანობენ. ამას წინათ შ. ამირეჯიბმა თავის პატრონის სადიდებლად დაბეჭდა წერილი (№ 9) ბაიტუგანის საპასუხოთ, რითაც გვარწმუნებდა—აი რა დიდი ვინმეა ჩემი ალა ბამატიო. ამ წერილში, სხვათა შორის, მოყვანილი იყო დეპეშა ჩიჩერინთან გაგზავნილი, რომელზედაც ხელი უწერია ბამატს, როგორც ჩრდილო-კავკასიის რესპ. თავდაცვის საბჭოს წარმომადგენელს. ამ დეპეშაში ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ადგილმა სადაც ნათქვამია: «ეხლა, როცა მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორია გაწმენდილია მტრისაგან, მთიელნი სთვლიან რომ დადგა მომენტი რათა საბჭოთა რუსეთმა გაანაღდოს მის მიერ მოცემული პირობა». ზევით კიდევ მოყვანილი იყო ადგილი კომუნისტ ნარიმანოვის წერილიდან, რომელიც მას მიუწერია გოცინსკისათვის და სხ. ჩვენ აღვნიშნეთ ეს და გამოვსთქვით ჩვენი გაკვირვება. ახლა ამის შესახებ «სევ. კავკაზ»-ში (№ 19) დაბეჭდილია ბ. ბაიტუგანის ვრცელი წერილი, რომელიც ნათელ ყოფს საქმის ნამდვილ ვითარებას. მას მოყავს კომუნისტ სამურსკის (დაღესტ. მდივანი) მოგონებიდან შემდეგი საინტერესო ადგილი. სექტემბერში—სწერს სამურსკი—აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ალი ხადჯი, რომელთანაც შესდგა მთავრობის მაგვარი ორგანო, რომელმაც მიიღო სახელად «ჩრდილო კავკასიის თავდაცვის საბჭო». სამურსკი ირწმუნება რომ «ეს საბჭო ფარულ კავშირში იყო მოსკოვთან, იღებდა დახმარებას ფულით და იარაღით კომუნისტების კავკასიის საოლქო კომიტეტისაგან, რომელიც არალეგალურად მუშაობდა ბაქოში და კავშირი ქონდა ასტრახანთან» («დაღესტ.» გვერ. 73). ამ საბჭოს ხელმძღვანელების მოქმედებას იმდენად დიდი უნდობლობა გამოუწვევია, რომ მარტის დასაწყისში 1920 წ. მისი თითქმის მთელი შემადგენლობა დაუტყვევებია თემინხანშურის ფრონტის სარდალს კიაზიმ ბეკს და მისი თავმჯდომარე იქვე დაუხვრეტია. ალი ხადჯს არც ახლა დაუჯერებია საბჭოს ხელმძღვანელების ორმაგი თამაში და მისი ბრძანებით კიაზიმ-ბეკს დაჭერილები გაუთავისუფლებია, მარა იძულებულ უყვია დაღესტანი დაეტოვებიათ. თავდაცვის საბჭო კი აღუდგენიათ თავის უფლებებში და ის შემდეგ მთლიანად შესულა «განთავისუფლებულ» დაღესტანის პირველ საბჭოთა მთავრობაში და უახლოესი მონაწილეობა მიუღია შამილის და ნაჯმუდლინის დამოუკიდებლობისათვის გამოსვლების სისხლში ჩახჩობაში»... აქედან აშკარაა, რომ ბამატი ყოფილა ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში, ეხმარებოდა ამ ორგანიზაციას და ამით აიხსნება ამ გვარი შინაარსის დეპეშის გაგზავნა ჩიჩერინთან. ასეთია მოკლე ისტორია იმ თავდაცვის საბჭოსი, რომელიც ასეთი ამბიციით გაგვაცნო ბ. ამირეჯიბმა. სწორედ ამაზეა ნათქმი: «ქათამმა ჩხრიკა ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკა»-ო.

⁂

«საქ. გუშიგი» განაგრძობს თავის დანიშნულებას: სწეროს და ბეჭდოს ყოველივე სიყალბე და გამოგონება, შეხანხლოს სადღეისოთ სხვადასხვა ამბები და ის ჩვენი ქვეყნის მეთაურებს მიაწეროს. მის უკანასკნელ ნომერში (16) ტ. მარგველაშვილი ერთხელ კიდევ იმეორებს იმ ზღაპარს, ვითომც ბორჩალოს მაზრაში მყოფი ჯარების დისლოკაცია მომხდარიყოს აკ. ჩხენკელის განკარგულებით და მოითხოვს ამის შესახებ მან ხმა ამოიღოს. აკ. ჩხენკელმა უკვე ამოიღო ხმა და ყოველივე ეს ჭორად და გამოგონილად გამოაცხადა («ბრძოლის ხმა» № 45). ამ გამოგონილ ერთ ჭორს მარგველაშვილი მეორეს თვითონ უმატებს: «გენ. ოდიშელიძესთან ჩემი საუბრის დროს ნათქვამი ისიც იყო, თითქოს ჩხენკელის ჩარევა უნდა მომხდარიყოს მოსკოვთან წინასწარ მომხდარი რაღაც პოლიტიკური შეთანხმების შემდეგ»-ო. მარგველაშვილი არ ასახელებს თუ ვისგან იყო ეს ნათქვამი—მისგან თუ ოდიშელიძისაგან. ეს კი ძალიან საჭიროა. ცოდვაა რომ ასეთი ჭორის ავტორის ვინაობა ჩვენს ისტორიას დაეკარგოს.

რაც შეეხება ბ. მარგველაშვილის წინადადებას კომისიის შედგენის შესახებ, რომელიც გამოირკვევს ბორჩალოს მაზრაში მომხდარ ამბებს—ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგ არაფერი გვაქვს. რაც უფრო დაწვრილებით იქნება გამორკვეული ეს საკითხი მით უკეთესი.

«გუშაგის» ამავე ნომერში ისევ მოგვევლინა ყოფილი წვრილფეხა კომისარი ი. გვარამაძე, რომლის ნამსახურობის ფორმულიარში მთავარი ადგილი უჭირავს ტყუილის გუდას, რომელიც, ეჭვი არაა, ისე მალე დაიჩუტება, როგორც სხვა ყველა ასეთი.

გვარამაძე თავის პირველ წერილში მოგვევლინა, როგორც დიდი პარტიული ს.-დ. მოღვაწე. როცა ჩვენ შევნიშნეთ რომ მისი არც მოსვლა გაგვიგია და ვერც წასვლას შევამჩნევთო—ახლა ის გვევლინება როგორც დიდი სახელმწიფო კაცი და ისეთ რამეებზე მასლაათობს, რომელზედაც შორეული წარმოდგენაც კი არ აქვს. «საქართველოს მთავრობამ კიაზიმ-ბეის პრობლემატიური დაპირების საკონპესაციოთ ოსმალეთს დაუთმო საქართველოს მოზრდილი ნაწილი—არტაანის და ართვინის ოლქები»-ო— სწერს ეს ყველაფრის მცოდნე კომისარი. რასაკვირველია არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. საქარ. მთავრობას არამც თუ ოლქები, ერთი მტკაველი მიწაც კი არ დაუთმია ოსმალეთისათვის, მარა გვარამაძეები ხომ სიმართლეს არ დაგიდევენ. მათი დანიშნულებაა თხზან და ავრცელონ ჭორები და ისინიც კეთილსინდისიერად ასრულებენ ამას.

ასევე შეთხზულია გვარამაძის მიერ ისიც, ვითომ, ერთხელ, მისი მოხსენების დროს, ნოე რამიშვილმა სთხოვა მას შემოეხაზა რუკაზე არტაანის ოლქის საზღვარი. როცა შემოვხაზე მან გრ. ურატაძის მიმართ რუსულად გაილანძღა. ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო და მხოლოდ შემდეგ გამოირკვა რომ თურმე ბ-ნ ურატაძეს ლენინთან მოლაპარაკების დროს ჩვენი ქვეყნის საზღვრები თავისებურად შემოეხაზაო. «გუშაგი»-ს რედაქციაში რომ ერთი ჭკვიანი კაცი მაინც იყოს ამ სისულელისთვის ბ. გვარამაძეს მაგრად ყურს აუწევდა და აუხსნიდა რომ ბ-ნ ურატაძეს არც ოსმალეთის, არც სომხეთის და არც ადერბაიჯანის ხაზზე არავითარი საზღვარი არც «მისებურად» და არც სხვისებურად არ შემოუხაზავს და არც შეეძლო შემოხაზვა, რადგან მოლაპარაკება სწარმოებდა რუსეთთან და არა ამ ქვეყნებთან. მან ხაზი გაავლო იმასთან, ვისთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებას ე. ი. რუსეთთან.

გვარამაძეს უკან მისდევს იოს. გობეჩია. ისიც ჯავრობს, ილანძღება, გვიწყრება, თხზავს ამბებს და აცხადებს: არას დროს ნივთიერი პირობების გამო არც დავა და არც განხეთქილება არ გამომიწვევიაო. მაშ რა არის თუ არა დავა, როცა ის სწერს: «საქართველოდან გამოტანილ და უცხოეთში მისი სახელის ექსპლუატაციის ნაყოფი თანხიდან «დახმარების» და «ჯამაგირების» მიცემა-წართმევა ჟორდანიას და მისი მთავრობის უდიდესი «მზრუნველობის» საგანია»... «ახლა ჩემთვის მოსპობილი «დახმარება» შეემატება იმ ფონდს, რომელის საშვალებით» და სხ. წინეთაც გამოსულან ცენტრიდან, მარა ჯამაგირების შესახებ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ. ბ. გობეჩია თავის პირველ წერილსაც კი სწორედ აქედან იწყებს და სადემაგოგიოთ ჩამოთვლის თუ ვის და როდის შეუწყვიტეს «დახმარება» და «ჯამაგირები» და ყოველივე ამის შემდეგ კი აცხადებს—«ჯამაგირების» და «დახმარების» შესახებ თავის დღეში კრინტი არ დამიძრავსო. ჩვენ მხოლოდ ის დავა გვქონდა მხედველობაში, რომელიც ბ. გობეჩიამ გაზეთის ფურცლებზე აგვიტეხა.

მეპრესე.

რედაქციისაგან

«სოც. აზრი»-ს მე-5 ნომერში დაბეჭდილია შ. აბდუშელის წერილი «დაგვიანებული პასუხი», რომლის დასაწყისში ის აცხადებს, რომ ეს წერილი მას არ დაუბეჭდა «ბრძ. ხმა»-მ და თან დაუგვიანა დაბრუნება—ივნისში გადაცემული მხოლოდ ოქტომბერში დამიბრუნაო. ორივე ეს განცხადება სიმართლეს მოკლებულია. წერილი როგორც კი მიიღო რედაქციამ, წაიკითხა მორიგ სხდომაზე და იმავე დღესვე უკან დააბრუნა. რედაქციას არც დაბეჭდვაზე უთქვამს უარი. მან დაადგინა—რადგანაც ნაჩვენები კანონი არ შეეფერება ამ შემთხვევას. ეცნობოს შ. აბდუშელს რომ მან მოხსნას კანონზე მითითება და წერილი დაიბეჭდება უცვლელად მორიგ ნომერში. აბდუშელმა როგორც სჩანს, ეს არ მოისურვა და წერილი «სოც. აზრ.»-ში დასტამბა ზემოთ მოყვანილი უმართებულო დანართით.

პარიზის ქართული კოლონია

2 თებერვალს შესდგა პარიზის ქართული კოლონიის კრება. კრებას უნდა განეხილა, პირველ ყოვლისა, იმ ვითომდა საბჭოს საკითხი, რომელიც გახდა მიზეზი და საბაბი კალონიაში არევ-დარევის და ურთიერთობის გამწვავების. როგორც ვიცით ამ «საბჭოს» ირგვლივ იბრძოდა ორი ძალა: დამრღვევი და მთლიანობის დარაჯი. როგორც მოსალოდნელი იყო გაიმარჯვა უკანასკნელმა. ეს უკანონო საბჭო, როგორც ამავე «საბჭოს» ერთმა წევრმა განაცხადა «მოკვდა» ამ კრებაზე და მის მაგიერ კრებამ აირჩია ახალი, სამი წევრისაგან შემდგარი: აკ. ჩხენკელი, დ. სხირტლაძე და პროფ. ავალიშვილი. ამათი არჩევნების და მათი მანდატის წინააღმდეგ ლაპარაკით ბ.ბ. სპ. კედიამ და შ. ამირეჯიბმა მეტად დაღალეს კრება, მარა ვერას გახდენ. კრებამ უარყო მათი წინადადება და 94 ხმით წინააღმდეგ 23, (8 თავი დაიჭირა, «სოც. აზრ.» ჯგუფი), აირჩია ზემოთ დასახელებული პირები. კედიას «საბჭო» ისეთი დუხჭირი გამოდგა, რომ ის მისმა წინანდელმა მომხრეებმაც კი მიატოვეს და ხმა მისცეს მათ წინააღმდეგ. ამის შემდეგ კრებამ განიხილა გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიშები და დაამტკიცა უცვლელად.

დამსწრე.

წერილი რედაქციის მიმართ

პატ-ო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშვალებით მადლობა გამოუცხადო ყველა მათ, ვინც პირადად თუ წერილობით მონაწილეობა მიიღეს ჩემს მწუხარებაში ჩემი ძვირფასი მეუღლის ვლასა იმნაძის უდროოდ დაკარგვის გამო.

პატივისცემით ლუიზა იმნაძისა.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.